სიძალადობის აქტი

2016 წლის ანგარიში

ავტორი და რედაქტორი:
თამარ კიწნურაშვილი

მკვლევრები:
გელა ბოჩიკაშვილი, თამარ გაგნიაშვილი

მედია მონიტორინგი:
სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე, რომან ბაინდურაშვილი, თამარ სოფრომაძე, თინა გოგოლაძე, ირაკლი ცხადაძე, მარიამ ცუცქირიძე, ნათია გოგელია, ნათია გოგოლაშვილი, დალი ქურდაძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

შინაარსი

	შესავალი	6
	მთავარი მიგნებები	7
	მეთოდოლოგია	9
	სიძულვილის ენის რეგულაციები	10
	ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები	11
I.	ჰომოფობია	13
II.	ქსენოფობია	18
2.1.	თურქოფობია	18
2.2.	რელიგიური ნიშნით დისკირმინაცია	23
2.3.	ქსენოფობია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ	27
2.4.	არმენოფობია	30
2.5.	რასიზმი	32
III.	სიძულვილის ენა პოლიტიკური და სხვა ნიშნით	33
IV.	სიძულვილის ენა წყაროების მიხედვით	36
4.1.	მედია	36
4.2.	პოლიტიკური პარტიები	46
4.3.	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	55
4.4.	სასულიერო პირები	58
4.5.	საზოგადოება	59
4.6.	ხელისუფლება	61
4.7.	ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები	62

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა 1.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია	11
დიაგრამა 2.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია	12
დიაგრამა 1.1.	ჰომოფობიური გზავნილების ტიპოლოგია	14
დიაგრამა 1.2.	ჰომოფობიური გზავნილების მედია წყაროები	14
დიაგრამა 1.3.	ჰომოფობიური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	15
დიაგრამა 1.4.	ჰომოფობიური გზავნილების წყაროები პარტიების მიხედვით	16
დიაგრამა 2.1.	თურქოფობიის წყაროები	19
დიაგრამა 2.2.	თურქოფობიული გზავნილების ტიპოლოგია	20
დიაგრამა 2.3.	თურქოფობიული გზავნილების მედია წყაროები	21
დიაგრამა 2.4.	თურქოფობიული გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	21
დიაგრამა 2.5.	თურქოფობიის წყაროები პარტიების მიხედვით	22
დიაგრამა 2.6.	თურქოფობიული გზავნილების ტიპოლოგია პარტიების მიხედვით	22
დიაგრამა 2.2.1.	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია წყაროების მიხედვით	23
დიაგრამა 2.2.2.	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით	24
დიაგრამა 2.2.3.	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია მედია წყაროების მიხედვით	25
დიაგრამა 2.2.4.	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია პოლიტიკური პარტიების მიხედვით	26
დიაგრამა 2.3.1.	სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიის წყაროები	27
დიაგრამა 2.3.2.	სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიური გზავნილების ტიპოლოგია	28
დიაგრამა 2.3.3.	სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიის მედია წყაროები	28
დიაგრამა 2.3.4.	სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიის წყაროები და ტიპოლოგია პარტიების მიხედვით	29

დიაგრამა 2.4.1.	არმენოფობიის წყაროები	30
დიაგრამა 2.4.2.	არმენოფობიული გზავნილების ტიპოლოგია	30
დიაგრამა 2.4.3.	არმენოფობიის მედია წყაროები	31
დიაგრამა 2.5.1.	რასისტული განცხადებების წყაროები	32
დიაგრამა 3.1.	სიძულვილის ენა პოლიტიკური და სხვა ნიშნით წყაროების მიხედვით	33
დიაგრამა 3.2.	სიძულვილის ენის გზავნილების ტიპოლოგია პოლიტიკური და სხვა ნიშნით წყაროების მიხედვით	34
დიაგრამა 3.3.	სიძულვილის ენა პოლიტიკური და სხვა ნიშნით მედია წყაროების მიხედვით	35
ცხრილი 1.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით	12

შესავალი

მედიის განვითარების ფონდი (MDF) საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მონაწილეობს პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა" განხორციელებაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მედია მონიტორინგი, რომლის მიზანია მედიასა და საჯარო დისკურსში სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმებისა და მათი წყაროების გამოვლენა. ამასთანავე, იმის შესწავლა, თუ რამდენად იცავენ მედია საშუალებები პროფესიულ სტანდარტებს აღნიშნული თემატიკის გაშუქებისას.

წინამდებარე კვლევა 2016 წლის 1 იანვრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მთავარი მიგნებები, მეთოდოლოგია, სიძულვილის ენის რეგულაციების მიმოხილვა და ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები სიძულვილის ენის ტიპოლოგიის მიხედვით. I ნაწილი შეეხება ჰომოფობიურ გამოხატვას ტიპოლოგიისა და წყაროების მიხედვით; II ნაწილში გაერთიანებულია ქსენოფობიური გამოხატვა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 2.1.თურქოფობიას; 2.2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას; 2.3. ქსენოფობიას სხვადასხვა ეთნოსების თუ ერების მიმართ; 2.4. არმენოფობიას და 2.5. რასიზმს. III ნაწილი პოლიტიკური და სხვა ნიშნით შეუწყნარებლობისა და ძალადობისკენ მოწოდების შემთხვევებს აერთიანებს. IV ნაწილში ის წყაროები და არხებია მიმოხილული, ვინც სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად იყენებს.

მთავარი მიგნებები

მედიაში სიძულვილის ენის და მისი წყაროების მონიტორინგის შედეგად (1 იანვარი – 15 ოქტომბერი, 2016) შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

საერთო მონაცემები

- 868 დისკრიმინაციული კომენტარიდან გამოიკვეთა ჰომოფობიის 454, სხვადასხვა ტიპის ქსენოფობიის 324 (თურქოფობია, არმენოფობია, რასიზმი და ა.შ.) და პოლიტიკური და სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის 90 შემთხვევა.
- ყველა კატეგორიიის სიძულვილის ენის ყველაზე მეტი შემთხვევის წყარო გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (101) იყო, რომელსაც Geworld.ge (69) მოსდევდა. პარტიებიდან კი „პატრიოტთა ალიანსი“ (77), რომელსაც ქართული ოცნება (54) მოსდევდა.
- გამოიკვეთა 2012-2016 წლებში დაფუძნებული ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიმრავლე (17), ვინც სიძულვილის ენის წახალისებას და ანტიდასავალური განწყობების გაღვივებას ჰომოფობიურ და ეთნონაციონალისტურ მოტივებზე ახდენს.

ჰომოფობია

- 868 დისკრიმინაციული გამოხატვიდან ყველაზე დიდი წილი – 52% (454) ჰომოფობიაზე მოდის.
- ხელისუფლებიდან ყველაზე მეტი (5) ჰომოფიური განცხადება დიასპორების საკითხში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის სახელით გაკეთდა.
- ყველაზე ჰომოფობი მედია საშუალება გაზეთი „ასავალ-დასავალია“ (70). ყველაზე ჰომოფობი პოლიტიკური პარტია დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო და მასთან დაკავშირებული სახალხო კრებაა (39), რომელსაც მმართველი პოლიტიკური გუნდი – ქართული ოცნება (34) მოსდევს. ყველაზე ჰომოფობი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დემოგრაფიული საზოგადოება XXI (6), რომლის დამფუძნებლებიც გავლენიანი ბიზნესკომპანიების და მედია ბიზნესის წარმომადგენლები არიან. ყველაზე ჰომოფობი სასულიერო პირი ბასილ მკალავიშვილია (6).
- ყველაზე გავრცელებული ჰომოფობიური გზავნილია დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას.

თურქოფობია

- გამოვლენილი სიძულვილის ენის 17% (148) თურქოფობიაზე მოდის.
- ყველაზე მეტი თურქოფობიული სარედაქციო კომენტარი Geworld.ge-მ (22) გამოაქვეყნა, ამავე დროს რესპონდენტთა ყველაზე მეტი თურქოფობიული გზავნილი ტვ „ობიექტივის“ (47)

ეთერში ყოველგვარი სარედაქციო კომენტარის გარეშე გავიდა. ყველაზე თურქოფობი პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსია“ (44).

- ყველაზე გავრცელებული თურქოფობიული გზავნილებია: თურქეთი საქართველოში ექსპანსიას ახორციელებს (37), ის ოკუპანტი (18) და ისტორიული მტერია (15).

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას საერთო მონაცემებში 8% (71) უჭირავს.
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი ყველაზე მეტი სარედაქციო კომენტარი Geworld.ge-მ გამოაქვეყნა (7). პარტია, რომელმაც ყველაზე მეტჯერ მიმართა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას პატრიოტთა ალიანსია (8), ხოლო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი – დავით ისაკაძე (5).
- რელიგიურ მოტივზე ყველაზე მეტი დისკრიმინაციული განცხადება მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებმა გააკეთეს (19), საიდანაც ანტიკათოლიციზმი დომინანტი თემა (12) სექტემბერში საქართველოში რომის პაპის ვიზიტთან მიმართებით გახდა.
- საერთო ჯამში ყველაზე მეტი დისკრიმინაციული კომენტარი ისლამოფობიის მოტივით (31) გაკეთდა.

ქსენოფობია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ

- სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიას საერთო მონაცემებში 8% (64) უჭირავს.
- მედიიდან ამ მხრივ, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (6), ხოლო პარტიებიდან „პატრიოტთა ალიანსი“ (10) გამოირჩეოდნენ.
- ხელისუფლებიდან უცხოელი სტუდენტების ტერორისტებთან გაიგივება შინაგან საქმეთა მინისტრმა ლევან იზორიამ მოახდინა, რომელიც ამჟამად თავდაცვის მინისტრის პოსტს იკავებს.
- ერთდროულად რამდენიმე ეროვნებისა და ეთნოსის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის ყველაზე მეტ შემთხვევას (23) მიწის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვისკენ მოწოდებები (13) მოსდევდა.

არმენოფობია

- არმენოფობიას საერთო მონაცემებში 3% (26) უჭირავს.
- არმენოფობიის მხრივ ყველაზე მეტ შემთხვევას „ასავალ-დასავალში“ და „საქინფორმის“ ონლაინ პლატფორმაზე ვხვდებით, პარტიების მხრიდან გამოვლენილ ორივე შემთხვევაში კი წყარო მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“ იყო.
- ყველაზე ხშირად დისკრიმინაციულ კონტექსტში სომხურ წარმომავლობაზე დაუსაბუთებელი მითითება (12) და სტერეოტიპიზაცია ხდებოდა, რომ სომხები სხვის სიკეთეებს ითვისებენ (8).

რასიზმი

- რასიზმს საერთო მონაცემებში 2% (15) უჭირავს.
- ხელისუფლების მხრიდან რასისტული სახის 1 განცხადება აშშ-ში საქართველოს ელჩის რანგში გაკეთდა. პოლიტიკური პარტიებიდან რასისტულ ენას ეროვნულებმა (3) და პატრიოტთა ალიანსმა (2) მიმართეს. მედიიდან რასისტულ კომენტარს Geworld.ge-ზე ვხვდებით.

პოლიტიკური და სხვა მოტივით შეუწყნარებლობა

- პოლიტიკური და სხვა მოტივით შეუწყნარებლობას საერთო მონაცემების 10% (90) უჭირავს.
- მედიიდან „ასავალ-დასავალი“ (10), ხოლო პარტიებიდან „ქართული ოცნება“ (15) ყველაზე ხშირად პოლიტიკური ნიშნით შეუწყნარებლობის ენას ნაციონალური მოძრაობის მიმართ იყენებდა, რა დროსაც ძალადობის წამახალისებელი მოწოდებები დომინირებდა.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია, რათა სიძულვილის ენის წყაროებსა და ტიპოლოგიაზე სრულფასოვანი წარმოდგენა შეიქმნა.

მონიტორინგი შემდეგ მედია საშუალებებზე ხორციელდებოდა:

- **8 ტელევიზიის საინფორმაციო და ანალიტიკურ გამოშვება:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.), იმედი, (ქრონიკა, იმედის დრო, იმედის კვირა), მაესტრო (მაესტროს კონტაქტი 20 სთ-ზე), ტაბულა (ფოკუსი), GDS (20:30) და კავკასია (დღეს). წინასაარჩევნო პერიოდში 1 აპრილიდან მონიტორინგის სუბიექტებს ტელეკომპანია „ობიექტივის“[1] საინფორმაციო გამოშვება დაემატა.
- **6 ტელევიზიის თოქ-შოუ:** რუსთავი 2 (არჩევანი), იმედი (ღია ეთერი, პოლიტიკა, ქრონიკის სტუდია), მაესტრო (ღამის კონტაქტი, მაესტროს ფაქტორი), ობიექტივი (ღამის სტუდია), კავკასია (ბარიერი, სპექტრი), ტაბულა (თეორემა).
- **7 ონლაინ გამოცემა:** საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, კვირის პალიტრა. 1 აპრილიდან მათ მარშალპრესი და პირველი რადიო რადიო დაემატა.
- **4 გაზეთი:** რეზონანსი, პრაიმ თაიმი, ასავალ-დასავალი, ალია.

დაკვირვება ხდებოდა სიძულვილის ენაზე სხვადასხვა ნიშნით (სექსუალური ორინეტაცია, ეთნიკური, რელიგიური, ეროვნული კუთვნილება, რასა, პოლიტიკურად მოტივირებული შეუწყნარებლობის ენა და სხვა). მონიტორინგის მიგნებები შემდეგი წყაროების მიხედვით არის დაჯგუფებული: მედია, პოლიტიკური პარტიები და მათთან აფილირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სასულიერო პირები, საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქმედი და ყოფილი ხელისუფლება. პოლიტიკურ პარტიასთან აფელირებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია შესაბამის პოლიტიკურ ჯგუფს არის მიკუთვნებული. მონიტორინგის პროცესში პოლიტიკური მიგრაციის გათვალისწინებით, დისკრიმინაციული გამოხატვა იმ ჯგუფს არის მიკუთვნებული, რომელსაც განცხადების ავტორი მისი გაკეთების მომენტში მიეკუთვნებოდა.

მონიტორინგი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს ასახავს. თვისებრივ ნაწილში მოცემულია როგორც დისკრიმინაციული გამოხატვის გზავნილების ტიპოლოგია, ასევე ცალკეულ შემთხვევებში განხილულია მედია სტანდარტის დარღვევის ფაქტები.

[1] ობიექტივის საინფორმაციო გამოშვება ეთერში მაისიდან გავიდა და მისი მონიტორინგი 1 ივნისიდან დაიწყო.

სიძულვილის ენის რეგულაციები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციის თანახმად, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობით სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, იმ შემთხვევების გარდა, როცა ის მყისიერ, გარდაუვალ და აშკარა ძალადობის საფრთხეს ქმნის. სიძულვილის ენაზე პროგრამული შეზღუდვები მხოლოდ მაუწყებლების შემთხვევაში არის დადგენილი: მაუწყებლობის შესახებ კანონის 56.3 მუხლის თანახმად:

> **„იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას“.**

სიძულვილის ენის შემზღუდავი სტანდარტები მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსითა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიითაც არის დადგენილი. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე, ნორმატიული აქტის სახით არის მიღებული. კოდექსის საფუძველზე, 2009 წლიდან მაუწყებლებში შექმნილია თვითრეგულირების ორგანოები (კომისია და სააპელაციო ინსტანცია), რომელიც კოდექსის დებულებათა დარღვევის შემთხვევებს განიხილავს. როგორც ევროსაბჭოს ანგარიშშია აღნიშნული, სიძულვილის ენასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე თვითრეგულირების მექანიზმის ყოველთვის ეფექტიანად არ მუშაობს, რადგან ამ ტიპის საქმეებში მაუწყებლები არაერთგვაროვნად განმარტავენ დაინტერესებული პირის ცნებას და უარს ამბობენ არასამთავრობო ორგანიზაციების და პირთა ფართო ჯგუფის მიერ ინიცირებული საჩივრების განხილვაზე.

ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში (1 იანვარი – 15 ოქტომბერი, 2016) სხვადასხვა წყაროს მხრიდან სიძულვილის ენის 868 გამოხატვა გამოვლინდა. როგორც დიაგრამა 1-ზეა ნაჩვენები, ყველაზე მეტი შემთხვევა (454) ჰომოფობიას უკავშირდება, რომელსაც სხვადასხვა სახის ქსენოფობიური გამოხატვა (324) და პოლიტიკური და სხვა ნიშნით შეუწყნარებლობა (90) მოსდევს.

დიაგრამა 1. სიძულვილის ენის ტიპოლოგია



ქსენოფობიის სხვადასხვა ტიპოლოგიებთან შედარება გვაჩვენებს (დიაგრამა 2 და ცხრილი 1), რომ ჰომოფობიის (454) შემდეგ ყველაზე მძლავრი თურქოფობიული განწყობებია (148), რომელსაც მოსდევს პოლიტიკური და სხვა ნიშნით შეუწყნარებლობა (90), რელიგიური ნიშნით დისკრი-

მინაცია (71), ქსენოფობია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ (64), არმენოფობია (26) და რასიზმი (15).
დიაგრამა 2. სიძულვილის ენის ტიპოლოგია

დიაგრამა 2. სიძულვილის ენის ტიპოლოგია



ცხრილი 1. სიძულვილის ენის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით

წყაროები	ჰომოფობია	თურქოფობია	პოლიტ. და სხვა	რელიგიური	ქსენოფობია	არმენოფობია	რასიზმი	ჯამი
პარტიები	139	57	28	11	16	2	5	258
მედია	152	41	18	16	16	10	1	254
საზოგადოება	86	28	34	16	24	12	7	207
საზ. ორგანიზაციები	34	17	5	6	6	2	1	71
სასულიერო პირები	35	2		19				56
ხელისუფლება	6				1		1	8
რუსეთის ხელისუფლება	1							1
ყოფილი ხელის.	1	3	5	3	1			13
ჯამი	454	148	90	71	64	26	15	868

I. ჰომოფობია

რაოდენობრივი მონაცემები. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 454 ჰომოფობიური გამოხატვიდან, რომელიც მედიაში 459-ჯერ გაშუქდა, ყველაზე მეტის წყარო თავად მედია (152) და პოლიტიკური პარტიები (139) იყვნენ. შემდეგ ადგილებზე საზოგადოების წარმომადგენლები (86), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (34), სასულიერო პირები (35), მოქმედი (6) და ყოფილი ხელისუფლების (1), ასევე რუსეთის ხელისუფლების (1) წარმომადგენლები მოდიან.

დიაგრამა 1.1 ასახავს იმ ძირითად გზავნილებს, რომლებიც ჰომოფობიური შინაარსის იყო: დომინირებდა მოსაზრება, რომ ჰომოსექსუალობა დასავლეთის მიერ არის თავს მოხვეული (80); ჰომოსექსუალობა წარმოდგენილი იყო, როგორც პრობლემა (77); საუბარი იყო საკონსტიტუციო ცვლილებების/რეფერენდუმის აუცილებლობაზე (63), რომლითაც ოჯახი კაცისა და ქალის ერთობად უნდა განისაზღვროს; ჰომოსექსუალობა ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედ განიხილებოდა (52); კეთდებოდა განცხადებები ლგბტ პირთა უფლებების შეზღუდვისა და ზოგჯერ აკრძალვის თაობაზე (46); ჰომოსექსუალობა ავადმყოფობად, გადახრად, გარყვნილებად იყო წარმოდგენილი (39); ტერმინ „ლიბერასტებად“, რომელიც „ლიბერალისა“ და „პიდარასტის“ კომბინაციას წარმოადგენს და გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მიერ არის დამკვიდრებული, ჰომოფობიური განცხადებები ყველა იმ ჯგუფის თუ ინდივიდის მიმართ კეთდებოდა, ვინც ლგბტ პირთა თანასწორუფლებიანობას იცავს. ამ მხრივ ძირითადი სამიზნე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკური პარტია, არასამთავრობო სექტორი და ცალკეული საზოგადო მოღვაწეები იყვნენ (37). ჰომოსექსუალობა განხილული იყო, როგორც სოდომ-გომორული ცოდვა (15); საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი, როგორც ერთი სქესის პირთა ქორწინების ლეგალიზაციის მცდელობა (13); ლგბტ პირთა გამოხატვა პროპაგანდასთან იყო გაიგივებული (12); ხოლო სასკოლო საგანი „მე და საზოგადოება“, როგორც სკოლებში ჰომოსექსუალობის სწავლების მცდელობა (11). 5 შემთხვევაში ამ ჯგუფის მიმართ ძალადობის გამართლება ხდებოდა, ხოლო 4 შემთხვევაში ჰომოსექსუალობა სხვადასვა ტიპის დანაშაულთან იყო იდენტიფიცირებული.

დიაგრამა 1.1. ჰომოფობიური გზავნილების ტიპოლოგია



ქვემოთ მიმოხილულია ჰომოფობიის რაოდენობრივი მონაცემები წყაროების მიხედვით, ხოლო IV ნაწილში – სიძულვილის ენის მაგალითები ცალკეული წყაროებისა და ტიპოლოგიის მიხედვით.

მედია. მედიაში ჰომოფობიის ყველაზე მეტი შემთხვევა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გვხვდება, რომელიც თავადაც არის სიძულვილის ენის წყარო (70) და ჰომოფობ რესპონდენტთა მრავალრიცხოვნებითაც გამოირჩევა (92). „ასავალ-დასავალს“ მოსდევს ონლაინ გამოცემა Geworld.ge (საქართველო და მსოფლიო), სადაც ჰომოფობიურ სარედაქციო პოზიციასთან ერთად (33), რესპონდენტთა ჰომოფობიური განცხადებებიც არის წარმოდგენილი (26). შემდეგ ადგილებზე არიან: ჰოლდინგი „ალია“, რომელშიც გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკაა“ გაერთიანებული (რედაქცია – 19; რესპონდენტი – 31); საქინფორმი (რედაქცია – 14; რესპონდენტი – 12); ობიექტივი (რედაქცია – 11; რესპონდენტი – 26); მარშალპრესი (რედაქცია – 5; რესპონდენტი – 30).

დიაგრამა 1.2. ჰომოფობიური გზავნილების მედია წყაროები



დიაგრამა 1.3. ასახავს ჰომოფობიური გზავნილების ტიპოლოგიას იმ შემთხვევებში, როცა სიძულვილის ენის წყარო თავად მედიაა. ყველაზე გავრცელებული ჰომოფობიური გამოხატვა იმ ჯგუფების და ინდივიდების მიუღებლობას უკავშირდებოდა, ვინც ლგბტ პირთა უფლებებს იცავს. „ლიბერასტები“ (ლიბერალი+პიდარასტი), რომლებიც ტერმინად გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ დაამკვიდრა, მედიაში ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ჰომოფობიურ კონტექსტში (37); რასაც მოსდევდა მოსაზრება, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსულობას (35).

დიაგრამა 1.3. ჰომოფობიური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით



თუკი მეინსტრიმულ მედიაში საჯარო პირების მხრიდან გამოხატული სიძულვილის ენა პრობლემის საილუსტრაციოდ შუქდებოდა, გამოიკვეთა რამდენიმე მედია საშუალება, რომელიც ხშირად თავად გვევლინებოდა ჰომოფობიის წყაროდაც და ამგვარი გამოხატვის გამტარადაც.

პოლიტიკური პარტიები. ჰომოფობიის 139 შემთხვევიდან, რომელთა წყარო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, ყველაზე მეტი შემთხვევა (39) ნინო ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა ერთიან საქართველოს, ამ პარტიასთან დაკავშირებულ „სახალხო კრებას“ და 2016 საპარლამენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატ გურამ ფალავანდიშვილს უკავშირდება. მას მოსდევს ქართული ოცნება (34), რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის ჩანაწერის ინიციატივით გამოვიდა, რითაც ოჯახი ქალის და მამაკაცის ერთობად უნდა განისაზღვროს. შემდეგ ადგილზეა მოძრაობა „ეროვნულები“ (21), რომლის ლიდერი სანდრო ბრეგაძე 2016 წლის 19 თებერვლამდე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო და ამ თანამდებობაზე ყოფნის დროსაც ხშირად აკეთებდა სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს, რომელთაც ჩვენ ხელისუფლების ნაწილში განვიხილავთ. მას მოსდევს „თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის“ (15), რომელიც „ქართული ოცნების“ წევრი იყო და კოალიცია მაისის ბოლოს დატოვა; პატრიოტთა ალიანსის მხრიდან 12 ჰომოფობიური განც-

ხადება გაკეთდა, ხოლო კატეგორიაში „სხვადასხვა“ გაერთიანებულია თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე (4), რომელიც საკრებულოში „პატრიოტთა ალიანსის“ სიით მოხვდა და 2014 წელს პარტია დატოვა; ასევე თავისუფალი საქართველო (3), ჩვენი სამშობლო (3), ნეიტრალური საქართველო (2), ქართული დასი (2), ეროვნული ფორუმი (1), ლეობორისტული პარტია (1), მრეწველები (1) და სახალხო პარტია (1).

დიაგრამა 1.4. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები პარტიების მიხედვით



პარტიების შემთხვევაში ძირითადად აქტუალური იყო ქორწინების დეფინიციაზე საკონსტიტუციო ცვლილებებისა და რეფერენდუმის თემა (29), რომელსაც ყველაზე აქტუალურად მოძრაობა ეროვნულები, ქართული ოცნება და დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის ლობირებდნენ. ჰომოსექსუალობა როგორც პრობლემა ასევე 29 შემთხვევაში იყო განხილული, 18 შემთხვევაში კი მკვიდრდებოდა აზრი, რომ ჰომოსექსუალობა დასავლეთის მიერ არის თავსმოხვეული. ამ მოსაზრებას მეტწილად ნინო ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის (8) და ეროვნულები (4) ავითარებდნენ. კეთდებოდა ასევე განცხადებები ლგბტ პირთა უფლებების შეზღუდვის შესახებ (16), ჰომოსექსუალობის, როგორც ეროვნული იდენტობისთვის საფრთხისა (14) და ავადმყოფობის, გარყვნილების თაობაზე.

საზოგადოება. საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან სულ 86 ჰომოფობიური განცხადება გაკეთდა. მათგან მეტწილად ჰომოსექსუალობა, როგორც პრობლემა იყო განხილული (22), აქცენტი საკონსტიტუციო ცვლილებებისა და რეფერენდუმის საჭიროებაზე კეთდებოდა (15) და მკვიდრდებოდა აზრი, რომ ჰომოსექსუალობა დასავლეთის მიერ არის თავს მოხვეული (13).

სასულიერო პირები. მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების მხრიდან 35 ჰომოფობიური განცხადება გაკეთდა. მეტწილად დომინირებდა აზრი, რომ ჰომოსექსუალობა დასავლეთის მხრიდან არის თავსმოხვეული (8), ის სოდომ-გომორული ცოდვა (6) და პრობლემაა (6). ყველაზე მეტი ჰომოფობიური განცხადება ბასილ მკალავიშვილმა გააკეთა (6), რომელიც 2004 წელს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების დარბევისა და იეჰოვას მოწმეთა ლიტერატურის დაწვის გამო იყო დაპატიმრებული და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. მკალავიშვილი მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1996 წელს განკვეთა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან სულ 34 ჰომოფობიური შინაარსის განცხადება გაკეთდა. ამ მხრივ აქტიურობდნენ პრორუსული ორგანიზაციები „ევრაზიული ინსტიტუტი“ (გულბაათ რცხილაძე), ერეკლე II-ის საზოგადოება (არჩილ ჭყოიძე), სახალხო-პატრიოტული კავშირი „რუსეთი ჩვენი მეზობელია“, საზოგადოება „სტალინი“. ჰომოფობიურ განცხადებებს ასევე აკეთებდნენ ეთნონაციონალისტური ჯგუფები: „ქართული მისია“ (გია კორკოტაშვილი), „ქართული ლეგიონი“, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI, აჭარის მამულიშვილთა კავშირი, თავისუფალი თაობა, ახალგაზრდა ეროვნული ალიანს (გიორგი გაბედავა); უფლებადამცველთა გაერთიანება (ნიკოლოზ მჟავანაძე) და სხვა ახლადშექმნილი ორგანიზაციები.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემთხვევაშიც ჰომოსექსუალობა როგორც პრობლემა (8), ეროვნული იდენტობისთვის საფრთხე (6) და დასავლეთის მიერ თავსმოხვეული მოვლენა იყო (5).

ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი პირები. ხელისუფლების მხრიდან 6 ჰომოფობიური განცხადება გაკეთდა, მათგან 4 საკონსტიტუციო ცვლილებებისა და რეფერენდუმის აუცილებლობას უკავშირდებოდა და მისი წყარო დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე იყო, რომელმაც თანამდებობა 2016 წლის 18 თებერვლიდან დატოვა და მოძრაობა „ეროვნულებს“ დაუბრუნდა. 1 შემთხვევაში ჰომოფობიური შინაარსის ტერმინი „მამათმავლობა“ განათლების მინისტრმა ნეგატიურ კონტექსტში სასკოლო სახელმძღვანელო „მე და საზოგადოებაზე“ საუბრისას გამოიყენა.

გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეფასება გამოაქვეყნა, რომელშიც ის ჰომოსექსუალობას ტრადიციულ იდენტობასთან შეუსაბამოდ განიხილავდა.

ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მხრიდან 1 ჰომოფობიური განცხადება გაკეთდა და მისი წყარო შევარდნაძის პერიოდის უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურზანია იყო.

II. ქსენოფობია

ქსენოფობიის სხვადასხვა ტიპიდან (324), ყველაზე მეტი – 148 – თურქოფობიაზე მოდის, რომელსაც რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (71), სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობია (63), არმენოფობია (26) და რასიზმი (15) მოსდევს.

2.1. თურქოფობია

ერთიანი მონაცემები. 148 თურქოფობიული განცხადებიდან, რომელიც მედიაში 155-ჯერ გაშუქდა, ყველაზე მეტი შემთხვევა (57) პარტიებზე მოდის, რომელთაგან ამ მხრივ პატრიოტთა ალიანსი ლიდერობს. პარტიებს მოსდევს მედია (41), საზოგადოება (28), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (17), ყოფილი ხელისუფლების (3) და მართლმადიდებელი ეკლესიის (2) წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ისლამოფობიური განწყობები (31) რელიგიური დისკრიმინაციის ნაწილშია განხილული, რაც ხშირად თურქოფობიულ კონტექსტში კეთდებოდა და საქართველოს მუსლიმი მოქალაქეებისთვის მეჩეთის მშენებლობის საკითხში მეზობელი სახელმწიფოს – თურქეთის როლთან იყო დაკავშირებული.

დიაგრამა 2.1. თურქოფობიის წყაროები



დომინირებდა აზრი იმის შესახებ, რომ თურქეთი საქართველოში ექსპანსიას ახორციელებს, რაც როგორც ეკონომიკური, ასევე საგანმანათლებლო და სხვა ხასიათის იყო (37). ხდებოდა თურქეთის ოკუპანტად (18) და ისტორიულ მტრად (15) წარმოჩენა, რომელიც საქართველოს მის ნაწილად განიხილავს (14) და ქვეყნისთვის საფრთხეს (14) წარმოადგენს. მკვიდრდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ თურქეთს აჭარის ტერიტორიის მიერთებისგან მხოლოდ რუსეთი აკავებს, რისი გარანტიც ყარსის ხელშეკრულებაა[2], რომელსაც ვადა გასდის და შესაბამისად საფრთხე იზრდება; აქცენტი ასევე კეთდებოდა რუსეთის ჯარის როლზე აჭარის გათავისუფლებაში (13). ხდებოდა აზრის კულტივირება, რომ ოსმალეთის იმპერიის მიერ საქართველოს ისტორიული ოკუპაცია დღევანდელ მოცემულობაში რუსეთის ოკუპაციის თანაზომადი პრობლემა არის – „როგორც რუსეთია ოკუპანტი, ასევეა თურქეთი“ (10). ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში აჭარის „გათურქების“ თეზასთან ერთად (10), მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (NATO) გაწევრიანება საქარველოში თურქეთის ინტერვენციას გამოიწვევდა (4).

[2] ხელშეკრულება თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მთავრობებს შორის, რომელიც ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა, ხოლო მისი რატიფიცირება 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში მოხდა. აღნიშნული შეთანხმებით თურქეთმა აჭარის ნაწილი ქალაქ ბათუმთან ერთად და ქალაქი გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, სანაცვლოდ კი ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო.

დიაგრამა 2.2. თურქოფობიული გზავნილების ტიპოლოგია



მედია. 41 თურქოფობიული შინაარსის კომენტარის წყარო თავად მედია იყო, რომელთაგან ლიდერობდა Geworld.ge (22). თუ 2014-2015 წლის მონიტორინგის თანახმად, თურქოფობიული განწყობების მხრივ ტელეკომპანია „ობიექტივი" ლიდერობდა (22)[3], 2016 წელს საკუთრივ ამ მედიის წარმომადგენლების მხრიდან გამოხატული თურქოფობია მკვეთრად შემცირებულია (3), თუმცა ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი (47), ვინც თურქოფობიული განწყობების ტირაჟირებას „ობიექტივის" ეთერით ახდენდა. ამასთანავე წამყვანები არ ოპონირებდნენ რესპონდენტებთან და არ აღნიშნავდნენ, რომ რესპონდენტთა მოსაზრებები დისკრიმინაციული ხასიათის იყო, როგორც ეს მაუწყებელთა ქცევის კოდექსშია გათვალისწინებული.

სხვა მედია საშუალებებში შემდეგი ვითარება გამოიკვეთა: გაზეთი „ასავალ-დასავალი" (ჟურნალისტი – 8, რესპონდენტი – 17); საქინფორმი (ჟურნალისტი – 6, რესპონდენტი – 1); „ალია" ჰოლდინგი (ჟურნალისტი – 1; რესპონდენტი – 4). აჭარის ტელევიზია მართალია, მონიტორინგის სუბიექტი არ ყოფილა, მაგრამ აღნიშნული მედიის ჟურნალისტის 1 თურქოფობიული შეფასება გაზეთ „ასავალ-დასავალში" ტელევიზიას მივაკუთვნეთ.

[3] MDF (2014-2015), სიძულვილის ენა და ქსენოფობია. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/19

დიაგრამა 2.3. თურქოფობიული გზავნილების მედია წყაროები



მედია საშუალებებში დომინირებდა აზრი, რომ თურქეთი საქართველოს ტერიტორიას მის შემადგენლად განიხილავს (10), თურქეთი ოკუპანტად (7) და რუსეთის საპირწონედ (6) იყო წარმოდგენილი.

დიაგრამა 2.4. თურქოფობიული გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით



პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკური პარტიებიდან თურქოფობიული განცხადებების უმეტესობა (44) პატრიოტთა ალიანსზე მოდის და ამ პარტიასთან დაკავშირებულ ტელეკომპანია "ობიექტივის" ეთერში გაკეთდა. მას მოსდევს მემარცხენე ალიანსი (5), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (2), ლეიბორისტული პარტია (2) და თითო-თითო შემთხვევით დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო, ნეიტრალური/სოციალისტური საქართველო, ქართული დასი და ქართული ოცნება.

დიაგრამა 2.5. თურქოფობიის წყაროები პარტიების მიხედვით



პოლიტიკოსთა მხრიდან მთავარი გზავნილები უკავშირდებოდა თურქეთის ექსპანსიას (17), თურქეთის ოკუპანტად (9) წარმოჩენას, რომელიც ოსმალეთის იმპერიის აღდგენას გეგმავს (8). ისტორიულ მტრობასთან ერთად (7) კეთდებოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ აჭარაში თურქეთის პოზიციები გააძლიერა (7). მემარცხენე ალიანსი და მრეწველები NATO-ში საქართველოს ინტეგრაციას თურქეთის ინტერვენციად წარმოაჩენდნენ (3). თეზას - თუ რუსეთია ოკუპანტი, რატომ თურქეთი არა? – პატრიოტთა ალიანსი ავითარებდა და ოსმალეთის იმპერიის დროინდელ რეალობას რუსეთის თანამედროვე ოკუპაციის იდენტურად წარმოაჩენდა.

დიაგრამა 2.6. თურქოფობიული გზავნილების ტიპოლოგია პარტიების მიხედვით



ფიგურირებდა ექსპანსიის თემა (11) , აქაცენტი ისტორიულ მტრობაზე (4), საფრთხეებზე (4), ნაციონალური მოძრაობის მიერ აჭარაში თურქების გაძლიერებაზე (2), გენეტიკურ უპირატესობაზე (2), ოკუპაციაზე (2), რუსული ოკუპაციის საპირწონედ თურქული ოკუპაციის დასახვაზე (2) კეთდებოდა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 17 თურქოფობიული განცხადებიდან, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებმა გააკეთეს დომინირებდა მოსაზრება, რომ თუ რუსეთს ოკუპანტად განვიხილავთ, თურქეთიც ოკუპანტად უნდა ჩაითვალოს (5), ხდებოდა რუსეთის თურქეთის საპირწონედ წარმოჩენა (5) და ამ მოსაზრებას მეტწილად პრო-რუსული ორგანიზაცია ევრაზიის ინსტიტუტი ამკვიდრებდა. თურქოფობიული განცხადებებით ასევე გამოირჩეოდა უფლებადამცველთა გაერთიანება და აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი.

ყოფილი ხელისუფლება. ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების 3 თურქოფობიული განცხადება თურქეთის ექსპანსიას, რუსეთის თურქეთის საპირწონედ და საფრთხედ წარმოჩენას შეეხებოდა. ერთ-ერთი წყარო 1992-1993 წლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი იყო, რომელიც ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს, მეორე 1993-2000 წლებში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში ლეონარდო დევდარიანი და მესამე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ ფუტკარაძე იყო, რომელიც ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ 2015 წელს გარიცხეს.

სასულიერო პირები. ორივე განცხადება, რომელიც თურქეთის ექსპანსიას და ისტორიულ მტრობას შეეხებოდა, სასულიერო პირმა ელიზბარ დიაკონიძემ გააკეთა.

2.2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

ერთიანი მონაცემები. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის 71 შემთხვევიდან, რომელიც 72-ჯერ გაშუქდა, ყველაზე მეტი (19) მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებზე მოდის, რომელსაც მედია (16) და საზოგადოება (16) თანაბრად მოსდევენ. შემდეგ ადგილებზე არიან პარტიები (11), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (6), ყოფილი ხელისუფლების (3) წარმომადგენლები.

დიაგრამა 2.2.1. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია წყაროების მიხედვით



რაც შეეხება დისკრიმინაციული გამოხატვის ტიპოლოგიას, ყველაზე მძლავრი ისლამოფობიური განწყობები იყო (31), რომელსაც მოსდევს ანტიკათოლიციზმი (18), რაც სექტემბერში საქართველოში რომის პაპის ფრანცისკეს ვიზიტს უკავშირდებოდა. არამართლმადიდებელი დენომინაციების დისკრიმინაციასთან ერთად (8), სახეზე იყო იეჰოვას მოწმეების (6), ბაპტისტების (3), სხვადასხვა კონფესიების (3) და ხლისტების დისკრიმინაცია.

დიაგრამა 2.2.2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით



სასულიერო პირები. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველაზე მეტ კომენტარს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების მხრიდან ჰქონდა ადგილი (19), საიდანაც ანტიკათოლიციზმი (12) დომინირებდა, რაც სექტემბერში საქართველოში რომის პაპის ფრანცისკეს ვიზიტს უკავშირდებოდა. შემდეგ ადგილზეა ისლამოფობია (4). იეჰოვას მოწმეების, ბაპტისტებისა და არამართლმადიდებელი კონფესიების მიმართ დისკრიმინაცია კი თითო-თითო შემთხვევაში გამოიკვეთა. ბაპტისტების მიმართ დისკრიმინაცია სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილთან მიმართებაში გამოიკვეთა, როდესაც დაუსაბუთებლად ხდებოდა მისი მრწამსის იდენტიფიცირება. სასულიერო პირებიდან ყველაზე მეტად დისკრიმინაციული კომენტარებით დავით ისაკაძე (5), ნიკოლოზ ჩხიკვაძე (3), დავით ნოზაძე (3) გამოირჩეოდნენ.

მედია. მედია, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის წყარო 16 შემთხვევაში იყო, საიდანაც ყველაზე მეტი შემთხვევა (7) Geworld.ge-ზე მოდის (რესპონდენტი 6), მას მოსდევს გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (მედია – 4, რესპონდენტი – 10) და თითო-თითო შემთხვევით ტვ „კავკასია“ (რესპონდენტი – 4), „ალია“ ჰოლდინგი (რესპონდენტი – 2), გაზეთი „კვირის პალიტრა“, ასევე საპატრიარქოს არხი „ერთსულოვნება“, რომელიც ჩვენი მონიტორინგის სუბიექტი არ არის, თუმცა მის დისკრიმინაციულ ვიდეო რგოლზე სიუჟეტი სხვა მედიებში მომზადდა. ტვ „იმედის“ წამყვანის 1 ისლამოფობიური შეფასება, რომელიც „ალიაში“ გამოქვეყნდა, იმ ტელეკომპანიას მივაკუთვნეთ, რომელსაც ის წარმოადგენს.

დიაგრამა 2.2.3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია მედია წყაროების მიხედვით



საერთო ტენდენციის მსგავსად მედიაშიც ყველაზე მეტი შემთხვევა (6) ისლამოფობიას უკავშირდება, ასევე არამართლმადიდებელი დენომინაციების (6), იეჰოვას მოწმეების (3) და ხლისტების (2) დისკრიმინაციას. ერთ შემთხვევას რომის პაპის ვიზიტის წინააღმდეგ Geworld.ge-ს ავტორის მხრიდან ჰქონდა ადგილი.

საზოგადოება. საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას 16-ჯერ ჰქონდა ადგილი, საიდანაც ყველაზე მეტი 11 შემთხვევა ისლამოფობიას უკავშირდებოდა. ისლამოფობიური განწყობები ადიგენში მუსლიმებსა და ადგილობრივ მართლმადიდებლებს შორის საფლავთან დაკავშირებული დაპირისპირების დროს, ასევე ბათუმში მედრესეს კარზე ღორის თავის მიჭედებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის დროს გამოვლინდა. ერთ შემთხვევაში მუსულმანთა ტერორირზმთან გაიგივებას ჰქონდა ადგილი. კათოლიკების წინააღმდეგ 3 განცხადება რომის პაპის ვიზიტის დროს გამოხატულ პროტესტს ასახავდა. 2 შემთხვევაში იეჰოვას მოწმეთა დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი.

პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკური პარტიების წარმომადგელთა მხრიდან რელიგიურ ნიადაგზე გაკეთებული 11 დისკრიმინაციული კომენტარიდან ყველაზე მეტი (8) პატრიოტთა ალიანსზე მოდის, საიდანაც 5 ისლამოფობიური შინაარსის იყო, 2 სხვადასხვა კონფესიების, ხოლო 1 ბაპტისტების მიმართ დისკრიმინაციული. დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს წარმომადგენლებმა დისკრიმინაციული მიდგომა ბაპტისტების (1) და სხვადასხვა კონფესიების (1) მიმართ გამოავლინეს, ხოლო ქართული დასის ლიდერის მხრიდან ადგილი ისლამოფობიურ შეფასებას ჰქონდა.

დიაგრამა 2.2.4. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია პოლიტიკური პარტიების მიხედვით



საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 6 შემთხვევიდან, რომლის წყარო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ, 4 ისლამოფობიური ხასიათის იყო, 2 კათოლიკების წინააღმდეგ მიმართული. 2 ისლამოფობიური განცხადება უფლებადამცველთა გაერთიანების ხელმძღვანელმა გააკეთა, ერთ-ერთში აქცენტი იმაზე კეთდებოდა, რომ აჭარას გამუსულმანებისგან მხოლოდ მართლმადიდებელი რუსეთი დაიცავს. ერთის ავტორი პრორუსული ორგანიზაცია „ევრაზიული არჩევანი“ იყო. კათოლიკების წინააღმეგ 2 განცხადება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სახელით გაკეთდა.

ყოფილი ხელისუფლება. ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მხრიდან სულ რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის შემცველი 3 განცხადება გაკეთდა. ერთი შემთხვევა ბაპტისტების წინააღმდეგ იყო მიმართული, სადაც დაუსაბუთებლად ხდებოდა სახალხო დამცველის რელიგიურ იდენტობაზე მითითება და როგორც ბაპტისტების, ასევე სახალხო დამცველის ოდიოზურ სექტანტებად წარმოჩენა. აღნიშნული კომენტარის წყარო დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე იყო, რომელიც ამ თანამდებობიდან წლის დასაწყისში, 2016 წლის 18 თებერვალს გადადგა. ისლამოფობიური 2 კომენტარის წყარო 1992-1993 წლებში თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი იყო, მეორესი კი – კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი.

2.3. ქსენოფობია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ

ერთიანი მონაცემები. სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიის 64 შემთხვევიდან ყველაზე მეტი (24) საზოგადოებაზე მოდის. თანაბრად არის წარმოდგენილი მედია (16) და პოლიტიკური კლასი (16), რომელსაც მოსდევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები (6). მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების მხრიდან კი დისკრიმინაციის თითო-თითო შემთხვევა გამოვლინდა.

დიაგრამა 2.3.1. სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიის წყაროები



რაც შეეხება გზავნილების ტიპოლოგიას, ყველაზე მეტი შემთხვევა (23) სხვადასხვა ეროვნებების და ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციას უკავშირდებოდა, რასაც მიწის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვასთან დაკავშირებული კომენტარები მოსდევდა (13). ხდებოდა უცხოელების და უმცირესობების საფრთხეებთან იდენტიფიცირება (9), ანტიჩინური განწყობების გაღვივება (8) და ეკონომიკური ურთიერთობების ექსპანსიად წარმოჩენა (7). კატეგორიაში სხვა გაერთიანებულია განცხადებები გენეტიკური უპირატესობის, უცხოელების მომსახურების მიუღებლობის და პირადობის მოწმობებიდან ეთნიკური კუთვნილების ამოღებით ეროვნული იდენტობის დაკარგვის თაობაზე (3).

დიაგრამა 2.3.2. სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიური გზავნილების ტიპოლოგია



საზოგადოება. სხვადასხვა ჯგუფების მიმართ 24 ქსენოფობიური გამოხატვიდან ყველაზე მეტ შემთხვევაში (7) უცხოელების და სხვადასხვა ეთნოსების საფრთხეებთან გაიგივება ხდებოდა, სახეზე იყო ანტიჩინური განწყობებიც (6), დისკრიმინაცია (4), ეკონომიკურ ექსპანსიაზე განცხადებები, რაც მეტწილად უცხოურ ინვესტიციებს უკავშირდებოდა (4). რესპონდენტები მიწის უცხოელებზე გასხვისების მიუღებლობასა (2) და გენეტიკურ უპირატესობაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას (1).

მედია. სხვადასხვა ჯგუფების მიმართ მედიის 16 ქსენოფობიური შეფასებიდან ყველაზე მეტი (6) გაზეთ „ასავალ-დასავალზე“ მოდის (რესპონდენტი – 5), ხოლო ყველაზე მეტი ქსენოფობიური განცხადება რესპონდენტებმა ტვ ობიექტივსა (12, მედია – 1) და Geworld.ge-ზე გააკეთეს (11, მედია – 4), რა დროსაც ჟურნალისტების მხრიდან რესპონდენტთა მოსაზრებების ქსენოფობიურ ხასიათზე აღნიშვნა არ ხდებოდა. მსგავსი შეფასებები ჰოლდინგ „ალიასა“ (მედია – 2, რესპონდენტი – 5) და საქინფორმზე (მედია – 2, რესპონდენტი – 3), ასევე მარშალპრესზე (1/1) გაკეთდა.

დიაგრამა 2.3.3. სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიის მედია წყაროები



რაც შეეხება გზავნილების ტიპოლოგიას, აქცენტი სხვადასხვა ეროვნებებისა და ეთნოსების დისკრიმინაციაზე (7), ასევე მიწის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვაზე (4) და სხვა თემებზე კეთდებოდა. ერთ შემთხვევაში კი უმცირესობების ლინგვისტური უფლებები ქვეყნის დაშლის და სეპარატიზმის საფრთხესთან იყო გაიგივებული.

პარტიები. პოლიტიკური პარტიების 16 შემთხვევიდან ლიდერობდა პატრიოტთა ალიანსი (8), რომელიც ძირითადად მიწების უცხოელებზე გაყიდვის შეზღუდვის იდეით (3) და სხვადასხვა ეროვნებების და ეთნოსების დისკრიმინაციით (3) გამოირჩეოდა. მმართველი პოლიტიკური გუნდის მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის 1 შემთხვევას, ასევე უცხოელების საფრთხესთან გაიგივებას (1). დიაგრამა 2.3.4-ზე წარმოდგენილი სხვა პარტიების მხრიდან ადგილი ჰქოდა როგორც უცხოელებზე მიწების გასხვისების შეზღუდვისკენ მოწოდებებს, ასევე დისკრიმინაციას.

დიაგრამა 2.3.4. სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიის წყაროები და ტიპოლოგია პარტიების მიხედვით



საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საზოგადოებრივი ორგანიზაციების 6 ქსენოფობიური განცხადებიდან 4 შემთხვევაში ეთნიკური/ ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია გამოიკვეთა. 1 რესპონდენტი მიწის უცხოელებზე გასხვისების მიუღებლობაზე, 1 კი ეკონომიკურ ექსპანსიაზე საუბრობდა.

ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წევრები. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ გააკეთა განცხადება, რომლითაც უცხოელი სტუდენტები ტერორიზმის საფრთხეს დაუკავშირა, 1 შემთხვევაში კი სხვადასხვა ეროვნებების მიმართ დისკრიმინაციას საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრის ტარიელ ფუტკარაძის მხრიდან ჰქონდა ადგილი.

2.4. არმენოფობია

არმენოფობიის 26 შემთხვევიდან დიდი წილი (12) საზოგადოებაზე მოდის, რომელსაც მოსდევს მედია (10), პარტიები (2) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (2).

დიაგრამა 2.4.1. არმენოფობიის წყაროები



არმენოფობიული გზავნილების უმეტესობა (12) სომხური წარმომავლობის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას შეეხებოდა და ძირითადად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ (სააკიანი, სააკოვი) გამოითქმოდა. 8 შემთხვევაში ხდებოდა ნეგატიური სტერეოტიპის დამკვიდრება, რომ სომხები სხვის სიკეთეებს ითვისებენ, რაც ხშირად გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ან ცალკეული შემთხვევების მთელ ერზე განზოგადების გზით ხდებოდა. ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას 4, ხოლო ისტორიულ მტრობაზე აპელირებას 2 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

დიაგრამა 2.4.2. არმენოფობიული გზავნილების ტიპოლოგია



საზოგადოება. არმენოფობიის ყველაზე მეტი შემთხვევა (12) საზოგადოების მხრიდან გამოიხატა, რა დროსაც სომხური წარმომავლობის ნეგატიური კონოტაცია (5) და სტერეოტიპი, რომ სომხები სხვის სიკეთეებს ითვისებენ (4) დომინირებდა. 2 შემთხვევაში სახეზე იყო ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაცია, ხოლო 1 შემთხვევაში ისტორიულ მტრობაზე მითითება.

მედია. საზოგადოების მსგავსად მედიის მხრიდან 10 არმენოფობიული გაშუქების შემთხვევაში დომინირებდა მიდგომა სომხების მიერ სხვა ერების სიკეთეების მითვისების (4) და სომხური წარმომავლობის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიების თაობაზე (4). გამოიკვეთა ისტორიულ მტრობაზე მითითების 1 და დისკრიმინაციის 1 შემთხვევა. გაზეთ „ასავალ-დასავალსა" და ონლაინ პორტალ საქინფორმზე ყველაზე მეტი არმენოფობიული კომენტარი გავიდა. GDS-ზე, მარშალპრესსა და კვირის პალიტრაში გავიდა მასალები, რომლებიც ამკვიდრებდა აზრს, რომ სომხები სხვის სიკეთეებს ითვისებენ.

დიაგრამა 2.4.3. არმენოფობიის მედია წყაროები



პოლიტიკური პარტიები. ორივე არმენოფობიული კომენტარი კოალიცია ქართული ოცნების წევრების მხრიდან გაკეთდა. 1 შემთხვევაში თამაზ მეჭიაურმა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას მიმართა, ხოლო მეორე შემთხვევაში ომარ ნიშნიანიძემ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სომხურ წარმომავლობაზე ნეგატიურ კონტექსტში დაუსაბუთებლად მიუთითა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ორივე შემთხვევაში (სტალინი, კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა) სომხური წარმომავლობა ნეგატიურ კონტექსტში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ იყო გამოყენებული.

2.5. რასიზმი

რასიზმის 15 შემთხვევიდან ყველაზე მეტი (7) გამოხატვა საზოგადოებაზე და პოლიტიკურ პარ-ტიებზე (5) მოდის. პარტიებიდან რასისიტული განცხადებები მოძრაობა „ეროვნულების“ (3) და პატრიოტთა ალიანსის (2) წარმომადგენლებმა გააკეთეს. მედიის მხრიდან 1 რასისტული განც-ხადება Geworld.ge-მ გააკეთა, ხელისუფლების წარმომადგენლის 1 რასისტული განცხადება კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის არჩილ გეგეშიძის სახელით გაკეთდა, რომელიც ამჟამად ამ თანამდებობას არ იკავებს; 1 კი დაჯგუფება ბერგმანის.

დიაგრამა 2.5.1. რასისტული განცხადებების წყაროები



III. სიძულვილის ენა პოლიტიკური და სხვა ნიშნით

გამოვლინდა პოლიტიკური და სხვა ნიშნით სიძულვილის ენის გამოყენების 90 შემთხვევა, რაც ძალადობისკენ მოწოდებებსაც მოიცავდა და საერთო ჯამში მედიაში 98-ჯერ გაშუქდა. უმეტეს წილად სიძულვილის ენის წყარო საზოგადოება (34) იყო, რომელსაც პარტიები (28), მედია (18), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (5) და ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები(5) მოს-დევდნენ.

დიაგრამა 3.1. სიძულვილის ენა პოლიტიკური და სხვა ნიშნით წყაროების მიხედვით



სიძულვილის ენის ყველაზე მეტი შემთხვევა (42) ნაციონალური მოძრაობის მიმართ იყო გამოხატული, ისევე როგორც ძალადობის წამახალისებელი მოწოდებები (29), რაც 22 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში შუალედური არჩევნების დროს ოპოზიციური პარტიის ნაციონალური მოძრაობის წევრებზე „ქართული ოცნების“ აქტივისტების მხრიდან განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას უკავშირდებოდა. ძალადობისკენ მოწოდებას და სიძულვილის ენას ასევე ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატის სანდრა რულოვსის მიმართ ჰქონდა ადგილი. კატეგორია „სხვადასხვაში“ გაერთიანებულია საქართველოს პრეზიდენტის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის ჰილარი კლინტონის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის მიმართ გამოყენებული სიძულვილის ენა (10), რესპუბლიკური პარტიის, ქართული ოცნებისა და პროდასავლური პოლიტიკური პარტიების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების 3-3 შემთხვევა გამოიკვეთა.

დიაგრამა 3.2. სიძულვილის ენის გზავნილების ტიპოლოგია პოლიტიკური და სხვა ნიშნით წყაროების მიხედვით



მედია. მედიაში სიძულვილის ენის 18 შემთხვევიდან ყველაზე მეტი (10) გაზეთ „ასავალ-დასავალზე“ მოდის, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მიმართ შეუწყნარებლობასთან ერთად (5) პირდაპირ ახდენდა ძალადობის წახალისებას (2). „ასავალ-დასავალს“ მოსდევს „საქინფორმი“, სადაც 6 შემთხვევიდან 1 ჰილარი კლინტონის, 5 ნაციონალების წინააღმდეგ იყო მიმართული. ობიექტივზე რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ წამყვანის მიერ 1 კომენტარი გაკეთდა, ხოლო Geworld.ge-ზე ყოფილი პირველი ლედის სანდრა რულოვსის მიმართ ძალადობის წახალისებას ჰქონდა ადგილი.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ასევე გამოირჩეოდა იმ რესპონდენტების მოსაზრებების ტირაჟირებით, ვინც სიძულვილის ენას აღვივებდა (30), ამ მხრივ გამორჩეული იყო მარშალპრესი (12) და ტვ „ობიექტივიც“.

დიაგრამა 3.3. სიძულვილის ენა პოლიტიკური და სხვა ნიშნით მედია წყაროების მიხედვით



საზოგადოება. საზოგადოების მხრიდან სულ 34 პოლიტიკურად მოტივირებული სიძულვილის ენის შემთხვევაში 20 ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული, 13 ძალადობის წამახალისებელი განცხადება გაკეთდა, ხოლო 1 შემთხვევაში სიძულვილის ენა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ იყო გამოყენებული.

პოლიტიკური პარტიები. 28 შემთხვევიდან ყველაზე მეტი სიძულვილის ენის შემცველი განცხადება (15) ქართულ ოცნებაზე მოდის, რომელიც 7 შემთხვევაში კორცხელის ინციდენტის დროს ნაციონალების მიმართ ძალადობას საჯაროდ ამართლებდა, 2 ნაციონალების წინააღმდეგ იყო მიმართული, 1 ჟურნალისტის და 5 პრეზიდენტის, რა დროსაც დაუნის სინდრომით დაავადებულთა სტიგმატიზება ხდებოდა. ქართული ოცნების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებას 2 შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობის, ხოლო 1 შემთხვევაში ლეიბორისტული პარტიის მხრიდან ჰქონდა ადგილი. ნეიტრალური/სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი სიძულვილის ენას პროდასავლური პარტიების და საბჭოთა სიმბოლიკის ამკრძალავი კანონმდებლობის შემუშავებელთა მიმართ იყენებდა (3).

ყოფილი ხელისუფლება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მხრიდან სიძულვილის ენა მეტწილად ნაციონალური მოძრაობის მიმართ (5) იყო გამოხატული, რა დროსაც ძალადობისკენ მოწოდებებიც ისმოდა, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემთხვევაში როგორც ნაციონალების, ასევე რუსთავი 2-ის.

IV. სიძულვილის ენის წყაროები

წინამდებარე თავში მოცემულია ინფორმაცია იმ სუბიექტების შესახებ, რომლებიც ყველაზე ხშირად გვევლინებოდნენ სიძულვილის ენის წყაროდ. წარმოდგენილია ასევე საილუსტრაციო მაგალითები წყაროების მიხედვით.

4.1. მედია

გამოვლინდა 6 გამოცემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვევლინებოდა სიძულვილის ენის წყაროდ. ამასთანავე აღნიშნულ პლატფორმებზე რესპონდენტების მიერ სხვადასხვა ფობიების ტირაჟირება ყველაზე ხშირად ხდებოდა.



ვაზეთი „ასავალ-დასავალი“ 1992 წლის 3 მარტს დაარსდა და ყოველ ორშაბათს გამოდის. გამოცემის 100%-იანი წილის მფლობელი და რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილია. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიშის თანახმად, ნადარეიშვილი რამდენიმე სხვა კომპანიაშიც ფლობს წილს – ყველა მთგანი „ასავალ-დასავალის“ გამოქვეყნებასთან არის დაკავშირებული. ნადარეიშვილი ასევე ფლობს შპს „საქართველოს დეპეშათა სააგენტოს“ და ის საქართველოს პრესის ასოციაციის გამგეობის წევრია.

გაზეთი სიძულვილის ენით გამოირჩევა სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და ლგბტ ჯგუფების, ასევე განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ჯგუფების, კერძოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ღიად დეკლარირებული ქსენოფობიური და ჰომოფობიური შინაარსის გარდა, გამოცემა ანტიდასავლურ განწყობებსაც აღვივებს. გაზეთის პლატფორმა უფრო ეთნო-ნაციონალისტურია, თუმცა როგორც მედიის განვითარების ფონდის კვლევა ცხადყოფს, შინაარსი ღიად პრორუსული მედიების ნარატივის იდენტურია.

2016 წელს „ასავალ-დასავალი" ყველაზე ჰომოფობიური გამოცემა იყო, სადაც ჟურნალისტების 70 ჰომოფობიური, ხოლო რესპონდენტების 90 კომენტარი დაიბეჭდა, საერთო ჯამში კი 101 სიძულვილის ენის შემცველი სარედაქციო კომენტარი.

მაგალითები:

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 21-27 მარტი
გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „ჩვენებური ლიბერასტები საბოლოოდ დაემსგავსნენ პირუტყვებს, რომლებიც, როგორც მოგახსენეთ, მზად არიან უსირცხვილოდ, საჯაროდ შეერწყან თავისნაირ პირუტყვებს!"

ასავალ-დასავალი, 20-26 ივნისი
გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „რა ნამუსით უნდა გვასწავლოს ჩვენ ჭკუა იმ ამერიკამ, რომელსაც საკუთრი გეებისთვის ვერ მოუვლია და სადაც მამათმავლები 50-50 „ცისფერს" კლავენ?!"

თურქოფობია/გენეტიკური უპირატესობა

ასავალ-დასავალი, 15-21 აგვისტო
დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: „მწარე სიმართლე უნდა ითქვას – თურქებსა და სპარსელებს უმშვენიერეს ქართველ გოგო-ბიჭებზე პირდაპირ ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული, რათა თავიანთი გენეტიკა გაეკეთილშობილებინათ".

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია/იეჰოვას მოწმეები

ასავალ-დასავალი, 19-25 სექტემბერი
ჭაბა ტყემალაძე, ჯაბა ექიმი: „ყველანაირი მიმდინარეობა ჩაკეტილია და ვიწრო, შესაბამისად – იეღოველობას, როკერობას, სატანისტობას და ნაციონალობას ჰგავს!"

ქსენოფობია

ასავალ-დასავალი, 22-28 თებერვალი
გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში არაბი დევნილების ჩასახლების გეგმა აღიარა! უკაცრავად და, ველური და ქალის უნახავი არაბი ლტოლვილები, რომ-

ლებისთვისაც ხიჯაბის გარეშე ყველა ქალი – ბოზია, რასაც აკეთებენ ევროპაში ძალიან კარგად გამოჩნდა ახალი წლის ღამით კიოლნში, სადაც ასამდე ქალი გააუპატიურეს!...“

არმენოფობია

ასავალ-დასავალი, 18-24 იანვარი

სათაური: ქართველები ჰერ სომხებმა დაწყევლეს და მერე-რუსებმა

„მარტო ის რად ღირს, რომ სასანოდური სპარსეთის შაჰის ხოსრო მეორე ფარვიზის (591-628) ინიციატივით სომხურ ქალაქ დვინში გამართულ საეკლესიო კრებაზე სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა ქართველი კათალიკოსი კირიონი და ქართველი ერი დაწყევლა...“

სიძულვილის ენა პოლიტიკური ნიშნით

ასავალ-დასავალი, 8-14 აგვისტო

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუკი ღორებს ასეთი სერიოზულობით ვეპყრობით, ნაცები რა, ნაკლები ღორები არიან?!... მოკლედ საქართველოში ნაცი იქნება, ღორი თუ სხვა პირუტყვი, იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული უნდა იყოს!“

ვაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ და მისი ონლაინ გამოცემის დამფუძნებელია შპს „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომელიც ტარას გაგნიძეს ეკუთვნის. „ისტორიული მემკვიდრეობა“ საჯარო რეესტრში 2009 წლის 28 იანვარსაა დარეგისტრირებული, ამავე წლიდან გამოდის გაზეთი „საქართველო და მსოფლიოც“.

Damoukidebloba.com-ის კვლევის „რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე[4]“ თანახმად, „ისტორიული მემკვიდრეობის“ დაფუძნების ინიციატივას თავის დროზე რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მიესალმა. Geworld.ge-ს დამფუძნებელი ორგანიზაციის, „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი არის პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა, მედვედევმა 2008 წლის ივლისში „რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი დიდი წვლილის გამო“ ორდენით დააჯილდოვა. ისტორიული მემკვიდრეობის პარტნიორია ასევე პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“. Geworld.ge-ს მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუაა, რომელიც პარალელურად „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის“ გამგეობის წევრია. ამავე შემოქმედებით კავშირში კი გაერთიანებულნი არიან ისეთი გამოცემების რედაქტორები, როგორიცაა „ასავალ-დასავალი“, GeorgianTimes, ტელეკომპანია „ახალი საქართველო“ და სხვა.

2016 წელს ყველაზე მეტი თურქფობიული კომენტარი (22) Geworls.ge-ის ავტორებმა გამოაქვეყნეს და მედიაში 1 რასისტული კომენტარიც სწორედ ამ გამოცემას ეკუთვნის. გამოცემა ასევე ღიად პრორუსული განწყობებით გამოირჩეოდა და ანტიდასავლურ განწ-

[4] IDFI, 2015. http://damoukidebloba.com/assets/up-modul/uploads/pdf/rusuli%20gavlena%20media%20da%20NGO-1.pdf

ყობებს აღვივებდა. საერთო ჯამში კი მან 69 სიძულვილის ენის შემცველი სარედაქციო კომენტარი გამოაქვეყნა.

ჰომოფობია/ჰომოსექსუალობის აკრძალვა

Geworld.ge, 13 იანვარი
დავით მხეიძე, ავტორი: „რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა გეიაღლუმები, ქვეყნიდან გააძევა სოროსის ფონდი და მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარა სხვა „ასოების" საქმიანობები. ასე რომ, რუსეთს არც ფერადი რევოლუციები ემუქრება და არც ტოტალური პედერასტიზაცია, რადგან მართლმადიდებლობის მსოფლიო ბურჯია, ხოლო უპირველესი წინაღობა მსოფლიო ლგბტ-ზაციის გზაზე მართლმადიდებელი სარწმუნოებაა! თუნდაც მხოლოდ ამიტომ საქართველოს ადგილი რუსეთის გვერდითაა."

თურქოფობია/ისტორიული მტერი

Geworld.ge, 30 მარტი
დავით მხეიძე, ავტორი: „მუდმივ ისტორიულ მტრად ერთმორწმუნე რუსეთი შევრაცხეთ, ხოლო მუდმივ ისტორიულ მეგობრად ჩვენი ისტორიულად დაუძინებელი მტერი და სარწმუნოების ამომგდები თურქეთი!"

ნატოშო ინტეგრაცია =თურქეთის ინტერვენციას

Geworld.ge, 30 ივნისი
იზა თამაზაშვილი, ავტორი: არავინ საუბრობს იმაზე, რომ ნატოში შესვლის საფასურს საქართველო თავისი სუვერენიტეტითა და ტერიტორიების დარღვევით გადაიხდის და ქართველი ხალხი მუსლიმური სახელმწიფოს – თურქეთის დიქტატის ქვეშ იცხოვრებს.

მიწის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვა

Geworld.ge, 28 სექტემბერი
გიორგი გაჩეჩილაძე, ავტორი: „მათ [არასამთავრობოებს] სურთ: უცხოელებმა თავისუფლად იყიდონ მიწა... სამშობლოდან ასიათასობით ქართველის გადახვეწის ფონზე მოქალაქეობა მიენიჭოთ უცხოტომელებს; საქართველოს საუკუნოვან და საიმედო მეგობრად (და არა _ ოკუპანტად) გამოცხადდეს სახელმწიფო, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ძირძველი მიწები აქვს მიტაცებული."

ანტიკათოლიციზმი

Geworld.ge, 5 ოქტომბერი
კონსტანტინე ქათამაძე, ავტორი: „ისმის ბუნებრივი და ლოგიკური კითხვა – რომის პაპი აღარ არის მწვალებელი, სვეტიცხოველში რომ შეჰყავთ, თუ უწმინდესი და უნეტარესი ილია II სინოდთან ერთად აღარ ემორჩილება ლაოდიკიის კრების ღმერთშემოსილი წმ. მამების კა-

ნონებს?.. 1 ოქტომბერს პაპის სვეტიცხოველში კაცთმოთნეობით მიპატიჟება იქნება საუკუნის ის შავი ლაქა, რომელიც, 25.05.2016-ში სინოდის ოქმზე კრეტაზე წამსვლელთა ხელმომწერებთან ერთად, მიემატება ჩვენი ეკლესიის უახლეს ისტორიას“.

ხლისტების დისკრიმინაცია

Geworld.ge, 10 თებერვალი
დავით მხეიძე, ავტორი: „პატრიარქის წინააღმდეგობის მიუხედავად, მხარი დაუჭირეს სახიფათო (ასე უწოდა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა) კანონს ქართული ეკლესიის უფლებრივად გათანაბრების შესახებ არა მხოლოდ ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებთან, არამედ სატანისტურ სექტებთანაც კი, ანუ ხლისტებთან!“

რასიზმი

Geworld.ge, 20 სექტემბერი
ვიქტორ ცაავა, ავტორი: „ტრამპი ობამა არ არის, ის მებრძოლი, საკმაოდ პრინციპული , მიზანმიმართული და თანაც თეთრკანიანი პოლიტიკოსია, რომელიც ჭეშმარიტი ამერიკელების მხარდაჭერით სარგებლობს“.

ძალადობის წახალისება

Geworld.ge, 28 სექტემბერი
გიორგი გელაშვილი, ავტორი: „ყველაფერთან ერთად, ურიგო არ იქნება, თუ სანდრას სამეგრელოში ერთ-ერთ შეხვედრაზე ისევე დაუსისხლიანებენ ცხვირ-პირს, როგორც ეს ჩიორა თაქთაქიშვილს გაუკეთეს, და მერე რა, თუ სანდრას ეტკინება, აიტანს... ასეთები აუტანია?!“

„ალია-ჰოლდინგში“ შემავალი გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ 1996 წელს დაარსდა. 2016 წლის მარტის ბოლოდან „კვირის ქრონიკა“ აღარ გამოიცემა. ჰოლდინგის 100%-იანი წილის მფლობელი გიორგი ბრეგვაძეა. გაზეთი ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს და ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში[5] MDF-ის კვლევაზე დაყრდნობით მოყვანილია სიძულვილის ენის მაგალითები გაზეთიდან და გამოთქმულია რეკომენდაცია ხელისუფლებისადმი, გადახედოს მის კონტრაქტებს მედია საშუალებებთან, ვინც რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიულ სიძულვილის ენის გამოვლენაშია შემჩნეული. 2013-2014 წლებში ჰოლდინგს საბიუჯეტო რეკლამის სახით დაახლოებით 50 000 ლარი აქვს მიღებული, ხოლო 2015 წელს – 21 816.

2016 წელს „ალია“ ჰოლდინგში შემავალ 2 გაზეთში სულ სიძულვილის ენის შემცველი 23 საავტორო კომენტარი გამოქვეყნდა, საიდანაც ყველაზე მეტი (19) ჰომოფობიური იყო.

[5] ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, 2015 წლის 8 დეკემბერი. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf

ჰომოფობია

კვირის ქრონიკა, 11-17 იანვარი
ნინო ლაბარტყავა, ჟურნალისტი: „იმედია, ქალი იყო და პედერასტების სექსს არ შევესწარით! ხალათი ეცვა."

ალია, 29 იანვარი – 1 თებერვალი,
ნინო სამხარაძე, ჟურნალისტი: „თუკი საქართველოში მოხდება „ლგბტ" პირების მოთხოვნის დაკმაყოფილება, სამხრეთ კავკასიაში ჩვენ აღმოვჩნდებით თეთრი ყვავის როლში და ჩვენ დავკარგავთ – იდენტობას, ეროვნულ ღირსებებს, ტრადიციებს, ეს არ იქნება სამაგალითო ჩვენი მეზობელი ქვეყნებისთვის".

თურქოფობია

ალია, 4-6 მარტი, 2016 წელი
რედაქცია: „რა უნდა ამ კომისიას [ECRI]? როდესაც თურქეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ღიად აცხადებს, აჭარა თურქეთის ტერიტორიაა, ბათუმში თურქებმა ლამის მთელი ქუჩები შეისყიდეს და ანაფორიან მღვდელს ამ ქუჩაზე გავლის უფლებას არ აძლევენ, ეს თუ დავწერეთ ქსენოფობიაა?"

საქინფორმი: **საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის 100%-იანი წილის მფლობელი გამოცემის რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილია. საქინფორმი საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო სააგენტო იყო, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში პრეზიდენტის ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა, 2004 წლიდან კი გაუქმდა. საქინფორმის სახელწოდებით სააგენტო 2010 წლიდან აღდგა. საქინფორმი ღიად პრორუსულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს და რუსულ წყაროებზე (REGNUM RT warfiles.ru Накануне.RU Российская газета და სხვები) დაყრდნობით ინფორმაციის ფაბრიკაციას ახდენს. გამოცემა ქსენოფობიური და ჰომოფობიური შინაარსითაც გამოირჩევა. დამოუკიდებლობა.com-ს თანახმად, „საქინფორმის" დომეინი პრორუსული ორიენტაციის ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის" ხელმძღვანელის, ტარას გაგნიძის სახელზეა რეგისტრირებული, რომელიც Geworld.ge-საც ფლობს. მედიის განვითარების ფონდის კვლევის „ანტიდასავლური განწყობები" თანახმად, გამოცემა მკვეთრად გამოხატული ანტიდასავლური, ქსენოფობიური და ჰომოფობიური სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა და ხშირად ეყრდნობა რუსულენოვან მედია წყაროებს.**

2016 წელს საქინფორმის ვებ-პორტალზე 34 სიძულვილის ენის შემცველი სარედაქციო კომენტარი გამოქვეყნდა, საიდანაც 19 ჰომოფობიური შინაარსის იყო. თურქოფობიულ შეფასებებში რუსეთის თურქეთის საპირწინედ წარმოჩენა და ყარსის ხელშეკრულებაზე დაუსაბუთებელი აპელირება ხდებოდა.

ჰომოფობია

საქინფორმი, 9 თებერვალი
სათაური: „ნუ გადააქცევთ საქართველოს სოდომისა და გომორის ქვეყნად!“

საქინფორმი, 27 ივნისი
არნო ხიდირბეგიშვილი, რედაქტორი: „ანგლოსაქსებში თვითგადარჩენის ინსტინქტმა გაიღვიძა – მათ არ ისურვეს ანგლოსექსებად გადაგვარება მეძავი ძველი ევროპის დასავლური ლგბტ-ფასეულობების გამო, არ ისურვეს ინგლისისა და ინგლისელ ქალთა გაუპატიურება ისლამისტ-ტერორისტ-მიგრანტების მიერ, დაიღალნენ ახალი ევროპის მათხოვარი ქვეყნების შენახვით საკუთარი შრომითა და გირვანქა სტერლინგით!“

რუსეთი vs. თურქეთი

საქინფორმი, 11 აგვისტო
არნო ხიდირბეგიშვილი, რედაქტორი: „რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს აკონტროლებს, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებიან, აჭარა კი თურქეთს მხოლოდ რუსეთის – ყარსის ხელშეკრულების გარანტის – ხათრით ჯერჯერობით არ მიაქვს“.

თურქეთი ოკუპანტია

საქინფორმი 15 იანვარი
არნო ხიდირბეგაშვილი, რედაქტორი: „ისტორიული ფაქტი: საქართველოსთვის თურქეთი მუდამ აგრესორი და ოკუპანტი იყო. მართლმადიდებელი ქართველების ღვთივკურთხეული ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობაში თურქებს ხელი მხოლოდ რუსეთმა შეუშალა, როდესაც 1783 წლის 24 ივლისს ერთმორწმუნე საქართველოსთან გეორგიევსკის ტრაქტატს ხელი მოაწერა... რუსეთი თავის ძველ მართლმადიდებელ მეზობლებს არ ღალატობს“.

სიძულვილის ენა პოლიტიკური მოტივით

საქინფორმი, 18 მარტი
სათაური: „ჰილარი კლინტონი – ლესბოსელი, ფსიქოპათი, ნარკომანი და სააკაშვილის უკანასკნელი იმედი: შტრიხები აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის პორტრეტისათვის“

ფიზიონომისტები თვალის თეთრ გარსს როგორც სულიერი, ისე ფიზიკური სტატუსის საზომად მიიჩნევენ, ხოლო ფსიქიატრიის სფეროს სპეციალისტებმა დიდი ხნის წინ დაამტკიცეს, რომ ადამიანს, რომელსაც თეთრი გარსი გუგის ზემოთაც უჩანს და ქვემოთაც, უხიაგი ხასიათი აქვს და ადვილად შმაგდება. მედიკოსების აზრით, ასეთი თვალები ფსიქოპათის ერთ-ერთი ნიშანია, ასეთი თვალები აქვს 68 წლის ლესბოსელ ჰილარი კლინტონს, რომელიც 2016 წლის ნოემბერში შესაძლოა, აშშ-ის 58-ე პრეზიდენტი გახდეს“.

მედია-კავშირი „ობიექტივი“ 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც ტელეკომპანიის მმართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. „ობიექტივის“ რამდენიმე წამყვანი (ბონდო მძინარაშვილი, ვახტანგ ბეგიაშვილი) 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პატრიოტთა ალიანსის სიით მონაწილეობდა. სხვადასხვა კვლევების თანახმად, „ობიექტივი“ ანტიდასავლური თურქოფობიულ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში „ობიექტივის“ თოქ-შოუების დისკრიმინაციული სარედაქციო პოლიტიკაც მოხვდა და ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაცია, გადახედოს მის ხელშეკრულებებს იმ მედია საშუალებებთან, ვინც სიძულვილს აღვივებს. ტელეკომპანიამ საინფორმაციო გადაცემები წინასაარჩევნოდ 2016 წლის 16 მაისიდან დაიწყო. TVMR საქართველოს 2015 წლის რეიტინგებში, მედია-კავშირი ობიექტივი არ ფიგურირებს. იმ 8 ტელეკომპანიიდან, რომლებიც კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის ვებ-გვერდზე დეკლარირებული 6 თვის მონაცემების თანახმად, 2016 წელს (1 იანვარი – 30 ივნისი) შემოსავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან, მედია-კავშირი „ობიექტივი“ ერთადერთი ტელევიზიაა, რომლის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს (33,1 %) შემოწირულობები წარმოადგენს.

2016 წელს ობიექტივზე წამყვანებისა და ჟურნალისტების მხრიდან სულ სიძულვილის ენის შემცველი 16 კომენტარი გავიდა, საიდანაც ყველაზე მეტი (11) ჰომოფობიური შინაარსის იყო. მართალია, წინა წლებთან შედარებით 2016 წელს „ობიექტივის“ წამყვანების მხრიდან თურქოფობია მკვეთრად შემცირებულია (3), თუმცა ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი (47), ვინც თურქოფობიული განწყობების ტირაჟირებას „ობიექტივის“ ეთერით ახდენდა. ამასთანავე წამყვანები არ ოპონირებდნენ რესპონდენტებთან და არ აღნიშნავდნენ, რომ რესპონდენტთა მოსაზრებები დისკრიმინაციული ხასიათის იყო, როგორც ეს მაუწყებელთა ქცევის კოდექსითაა გათვალისწინებული.

ჰომოფობია

ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 აპრილი

ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი: „მე ვამბობ, რომ სკოლაში, სამხედრო ნაწილებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და საბავშვო ბაღებში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ სამხედრო მოსამსახურემ, პატიმარმა, ბავშვმა, სკოლაში ან თუ გნებავთ სტუდენტმა, იცოდეს, რომ მისი მასწავლებელი არის დედამისისგან და მამამისისგან განსხვავებული, მოდით ასე ვიტყვი, არ მინდა შეურაცხმყოფელი ფრაზა ვთქვა“.

ავადმყოფობა/გადახრა/გარყვნილება

ობიექტივი, ბათუმის სტუდია, 21 ივლისი

მერაბ ბლადაძე, წამყვანი: „აი, როგორ უნდა გაიგოს მშობელმა, რომ ბავშვს, მაგალითად, ბიჭს, აქვს რაღაცა გადახრები მამათმავლობისკენ, ახლა მაგას ჩვენ ჩაგვჩიჩინებენ თავში, რომ

ეს თურმე კარგი არისო, მაგრამ დამერწმუნეთ, მე ვცხოვრობდი ევროპაში ათეული წლები და იქ ტრაგედიაა ოჯახისთვის, როდესაც ოჯახის შვილი არის რაღაც, ლგბტ-ს უწოდებენ ახლა და თუნდაც გოგონა, არის ლესბოსელი“.

ქსენოფობია

ობიექტივი, პოლიტიკური ღამე, 8 სექტემბერი
ნინო რატიშვილი, წამყვანი: „დღეს პრობლემა აქვს არა მარტო ბათუმს, თბილისსაც გვაქვს, აგერ აღმაშენებელზე, ყოფილ პლეხანოვზე შეიძლება რომ გაიარო, შენი საკუთარი ენა ვერ გაიგონო? ეს პრობლემა დღეს აჭარასაც აქვს და ბათუმსაც აქვს“.

სიძულვილის ენა პოლიტიკური მოტივით

ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 მაისი
ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი: „... დაჩუტული გომბეშო – ეს ბატონმა რეზო ამაშუკელმა უწოდა ლევან ბერძენიშვილს. აი, ბოროტების ბალღამი, რომ შიგნიდან ჟონავს და ჩამოდის სახეზე ზეთად.

მარშალპრესი: ინტერნეტ-პორტალი მარშალპრესი მედია სივრცეში 2015 წლის 18 თებერვალს გამოჩნდა. Marshallpress.ge-ს შპს მარშალპრეს.ჯი გამოსცემს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი 2015 წლის 6 მაისის მონაცემებით, ინფო 9-ის ყოფილი ჟურნალისტი ოთარ სტეფანიშვილი იყო. 2015 წლის 24 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი ოთარ სტეფანიშვილთან (49%) ერთად მფლობელთა შორის ლუკა ანთიძეც (51%) ფიგურირებს.

მარშალ პრესის პრესკლუბში პრესკონფერენციებს პრორუსული და ანტიდასავლური პოლიტიკის მომხრე ისეთი პირები ატარებენ, როგორიც არის პარტია „ნეიტრალური ევრაზიული საქართველოს“ ლიდერი არჩილ ჭყოიძე, პოლიტოლოგი და მედია-კავშირ „ობიექტივის“ მუდმივი რესპონდენტი ჰამლეტ ჭიპაშვილი.

2016 წელს მარშალპრესზე რედაქციის მხრიდან 7 სიძულვილის ენის შემცველი მასალა გამოქვეყნდა, ასევე ფართოდ ხდებოდა იმ რესპონდნეტთა მოსაზრებების ტირაჟირება, ვინც სიძულვილის ენით გამოირჩევა. რედაქცია არ ემიჯნებოდა სიძულვილის ენის შემცველ მასალებს და უკომენტაროდ ავრცელებდა მათ. 2 ჰომოფობიურ ფოტომანიპულაციასთან ერთად, გამოვლინდა შემთხვევები, როცა რედაქციას ჰომოფობიური შეფასებები მასალის სათაურში გამოჰქონდა, რითაც მის შინაარსს იზიარებდა.

ჰომოფობიური სათაურები

მარშალპრესი, 17 მაისი
სათაური: „გაიგეთ რა გაუკეთებიათ ამ გადაგვარებულებს?!

მარშალპრესი, 13 ივლისი
სათაური: „ამბობენ რომ იქნება წამალი, რომელსაც ორსულს გაუკეთებენ და ბავშვი ჰომოსექსუალი აღარ იქნება“.

მარშალპრესი, 9 მაისი
სათაური: „გეი მანიფესტი – „ჩვენ გავრყვნით თქვენს შვილებს მათსავე სკოლებში“.

სარედაქციო კომენტარი: ამ მასალაში გამოთქმული სავსებით გარკვეული ექსტრემისტული დამოკიდებულება ნორმალური სექსუალური ორიენტაციის პირებისადმი დადასტურებას პოულობს სხვა მასალებშიც, რომლებიც შეიცავენ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას.

ანტიჩინური განწყობები

მარშალპრესი, 1 ოტომბერი
სათაური: „ხარაგაულში ჩინური კომპანიის წარმომადგენლები ძაღლს ყელს ჭრიდნენ – (ვიდეო) +16“.

არმენოფობია

მარშალპრესი, 19 მაისი
სათაური: როგორ ემზადებიან სომხები აფხაზეთში პროვკაციის მოსაწყობად

წყარო: აზერბაიჯანულენოვანი მედია www.kaspiy.az
„როგორ აცხადებენ პრეტენზიებს „მრავალტანჯული“ სომხები არა მარტო მეზობლების მიწებზე, არამედ უკრაინის ქალაქებზე (კიევი, ლვოვი), რუსეთის სამხრეთში (სტავროპოლი, კრასნოდარი, არმავირი), როცა ისინი სხვის მუსიკას იპარავენ, ითვისებენ სხვა ხალხების კულინარიას, დაკავებულნი არიან ნამდვილი პლაგიატობით და სხვა უსინდისო, უზნეო საქმეებით, ამ სტრიქონების ავტორი არაერთგზის დარწმუნდა სოცქსელების ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ ნათქვამ გენიალური ფრაზის სიმართლეში: „დედამიწაზე ჯერ სომხები გაჩნდნენ, შემდეგ კი ადამიანები“.

4.2. პოლიტიკური პარტიები

გამოვლინდა 7 პარტია, რომელიც ყველაზე ხშირად იყენებდა სიძულვილის ენას.



საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 2012 წლის 19 დეკემბერს დაფუძნდა, საჯარო რეესტრში კი 2013 წლის იანვარში დარეგისტრირდა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე პარტიამ პირველად მოიპოვა საკრებულოებში წარმომადგენლობა (5,37%), ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი ხმების 5,01%-ით – საკანონმდებლო ორგანოში მანდატები.

პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავია, გენერალური მდივანი – ირმა ინაშვილი, რომელიც მედია-კავშირ „ობიექტივის" დამფუძნებელი იყო, თუმცა 2014 წლიდან არხის მმართველობაში ოფიციალურად აღარ ფიგურირებს.

პარტია საკუთარ თავს მემარჯვენე-კონსერვატიულ მიმართულების იდეოლოგიას მიაკუთვნებს. პატრიოტთა ალიანსის ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე,[6] რომელიც ქართულად ხელმისაწვდომი არ არის, პარტიის ხედვასა და პროგრამაში პატრიოტიზმი განმარტებულია, როგორც ეროვნულ სულთან შესაბამისობაში მოქმედება, რაც მათივე განმარტებით, ქართულ სულს გულისხმობს. ქართული სულის ტოლერანტობა, პატრიოტთა ხედვის თანახმად, სხვა ერებისგან ყველაფერი კარგის მიმღებლობისთვის მზაობას გულისხმობს, თუმცა ამავე დროს ხაზი ესმება მშობლიური ქართულის უპირატესობას.

ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე პარტიას დეკლარირებული აქვს ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილი და გამოთქმული აქვს სკეპტიციზმი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის რეალურ პერსპექტივასთან დაკავშირებით.

6 http://patriots.ge/our-vision-program/

MDF-ის 2014-2015 კვლევების[7] თანახმად, პარტია გამოირჩეოდა ანტიდასავლური განწყობების გაღვივებით, თურქოფობიითა და ჰომოფობიით. 2016 წლის სიძულვილის ენის მონიტორინგი აჩვენებს, რომ სიძულვილის ენის მხრივ პატრიოტთა ალიანსი ლიდერობს (77), საიდანაც ყველზე დიდი წილი თურქოფობიულ განწყობებზე მოდის (44), რომელსაც ჰომოფობია (8), რელიგიური ნიშნით (8) და სხვადასხვა სახის (5) დისკრიმინაცია მოსდევს.

თურქოფობია

ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 აგვისტო

დავით-თარხან მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „თურქეთი ყოველთვის იყო საფრთხე საქართველოსთვის, თურქეთი ყოველთვის იყო დამპყრობელი, თურქეთი იყო ყოველთვის მტერი საქართველოსი, თურქეთმა ქართული სისხლით გააწითლა შავი ზღვა. და ხარკის სახით, ფულის ნაცვლად ახალგაზრდა გოგოები და ბიჭები გაჰყავდათ ყოველწლიურად. ათასი წლის განმავლობაში სისხლი გაგვიშრო ჩვენ. თურქეთში არის ჩვენი მიწების 33% დღეს. ნახევარ მილიონი ქართველი ცხოვრობს, რომელთაც დააკარგვინეს რწმენა, ქართველობა, ენას ართმევენ და გვარი და სახელი აღარ იციან თავისი. არასოდეს არ იქნება თურქეთი ჩვენი მეგობარი ქვეყანა და თურქეთი ახლაც ლაპარკობს, რომ უნდა ბათუმი, უნდა ოზურგეთი, უნდა ახალციხე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ის იქნება მუდამ ჩვენი მტერი სახელმწიფო“.

კავკასია, ბარიერი, 1 სექტემბერი

ბონდო მძინარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი: „მე ვფიქრობ არა მხოლოდ რუსეთია ოკუპანტი, და ჩვენ შეიძლება დავდგეთ ისეთი პირობების წინაშე, რომ 95 წლის შემდეგ საქართველოში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ რუსეთი არ არის ოკუპანტი, ისევე როგორც დღეს არიან ადამიანები რომლებიც 95 წლის შემდეგ ამბობენ, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარია და არ არის ოკუპანტი“.

ობიექტივი, ახალი ამბები, 21 სექტემბერი

ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი: „ბათუმში თურქული სკოლის გახსნის ფაქტი, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ხორციელდება იდეოლოგიური ექსპანსიაც. ქართული სახელმწიფოს ფარგლებში თურქული სკოლის გახსნა, სადაც თურქეთიდან მოწვეული პედაგოგები არიან, თურქეთის განათლების სისტემის მიხედვით წავა სწავლება. ეს არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს“.

რასიზმი

ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 აგვისტო

ზაზა მამალაძე, პატრიოტთა ალიანსის საბურთალოს მაჟორიტარი: „ აი, საბურთალოზე, ჩვენთან, იქ გავლა აღარ მინდა რაა. რატო არ მინდა იცით? იმიტომ, რომ ამ სამედიცინო ინსტიტუტის

[7] ანტიდასავლური პროპაგანდა: http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/15/file/Antidasavluri-GEO-web.pdf
სიძულვილის ენა და ქსენოფობია: http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/19
ჰომოფობია და გენდერული იდენტობა: http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/17

გამაკიდე თუკი ვინმე შავი იყო დედამიწის ზურგზე ყველა იქ ჩამოვიდა, რაა... არ შეილება, რომ ჩამოდიან უგამოცდოდ ღებულობენ აქ იმეებს, რაა... და აღარ მინდა ამ ესე გავლა და ამიტომ, მე... ადრე იყო სიმღერა რაღაცა „ყარს, ყარს, ყადიდარარირი...“ ეხლა არი საბურთალოზე იგივე მდგომარეობა. ამას ჩვენ მივხედავთ რა, ისე კი არა რო ვინმე, გაუმარჯოს ყველას თავის ერაყში და ინდოეთში და იმაში კაცო, მე ჩემი ქალაქი და ჩემი ქვეყანა დამანებეთ! როგორმე მივხედავ რაა!“

ისლამოფობია

ობიექტივი, პოლიტიკური ღამე, 29 სექტემბერი

ბონდო მძინარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი: „აზიზიას მეჩეთის მშენებლობას ჩვენ რატომ ვაპროტესტებდით? მეუფე იობმა თქვა ამასწინათ წირვაზე, როგორ შეიძლებაო ქართველი ხალხის მმართველმაო 10, 20 და 30 მილიონი გადაიხადოსო მეჩეთის მშენებლობაშიო?.. ეს არის ქვეყნის დაღუპვა და როცა ამას ვლაპარაკობთ, თურქები კი არ გვეჯავრება, ჩვენი სამშობლო გვიყვარს კაცო.“

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 1-7 თებერვალი

ირმა ინაშვილი, პატიოტთა ალიანსი: „პირდაპირ ვაცხადებ: ეს სიბინძურე – ერთსქესიანთა ქორწინება – საქართველოში ვერ დაკანონდება!“

ობიექტივი, ღამის სტუდია, 13 ივლისი, მარშალპრესი, 24 ივლისი:

დავით-თარხან მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „მტკიცდება, რომ დაავადებაა. აგერ ამერიკული ლაბორატორიები ამბობენ, რომ გენი აღმოაჩინეს, რომელიც ნაყოფში თუ დარღვეულია აუცილებლად ჰომოსექსუალი იქნება ბავშვი. და ახლა ამბობენ, რომ ათ წელიწადში წამალი იქნება პირდაპირ ორსულ დედას, რომ გაუკეთებენ, ის გენი გასწორდება. ანუ შეიძლება ამ პრობლემას საერთოდ ეშველოს“.

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო: „ქართული ოცნება“ 2012 წლის თებერვალში ქართველმა მილიარდელმა – ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა და დააფინანსა. პარტიის თავმჯდომარეა გიორგი კვირიკაშვილი, პარტიის გენერალური მდივანი – კახა კალაძე, პარტიის აღმასრულებელი მდივანი კი – ირაკლი კობახიძე. საჯარო რეესტრში პარტია 2012 წლის მაისში დარეგისტრირდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ „ქართული ოცნება“ ხმათა 54%-ით გაიმარჯვა, საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა, რითაც ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის პირველი პრეცედენტი შეიქმნა.

კოალიცია „ქართული ოცნებაში“ 6 პოლიტიკური სუბიექტი იყო გაერთიანებული: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „რესპუბლიკური პარტია“, „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „კონსერვატიული პარტია“,

„მრეწველები“. კოალიციაში შემავალი ცალკეული სუბიექტები ანტიდასავლური, ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდნენ. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია დაიშალა.

საპარლამენტო არჩევნების კამპანიის ნაწილად იქცა „ქართული ოცნების“ ინიციატივა კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის შეტანის თაობაზე, რომლითაც ოჯახი კაცისა და ქალის ერთობად უნდა განისაზღვროს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქართულმა ოცნებამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა და აღნიშნული საკონსტიტუციო ინიციატივის სისრულეში მოყვანას გეგმავს.

2016 წლის მონიტორინგის თანახმად, სიძულვილის ენის საერთო მონაცემების მხრივ პატრიოტთა ალიანსს ქართული ოცნება მოსდევს (54). აღნიშნული მონაცემები კოალიციის ყოფილი წევრების განცხადებებსაც მოიცავს, განცხადების გაკეთების მომენტში არსებული პარტიული კუთვნილების შესაბამისად და კოალიციის შემდეგომ გაკეთებულ შეფასებებსაც. დომინირებდა ჰომოფობიური (34) განწყობები, რაც მეტწილად საკონსტიტუციო ინიციატივას უკავშირდებოდა და პოლიტიკურად მოტივირებული სიძულვილის ენა (15), რაც მეტწილად ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული. პარტია ძალადობის წახალისებას ახდენდა, მათ შორის საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს კორცხელში მომხდარ ინციდენტთან მიმართებით, რა დროსაც ქართული ოცნების აქტივისტებმა ნაციონალური მოძრაობის ლიდერები სცემეს. სახეზე იყო ასევე არმენოფობიის 2, ქსენოფობიის 2 და თურქოფობიის 1 შემთხვევა.

ჰომოფობია

ინტერპრესნიუსი, იმედი, ქრონიკა, მარშალპრესი, 17 მაისი

ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება: „ტენდენციები და ინტერპრეტაციები უკვე აქეთკენაა წასული, რომ შეიძლება „რომეო და რომეო“, „ჯულიეტა და ჯულიეტა“. მიუხედავად ამისა ეს არ იწვევს თანაგრძნობას, იმიტომ რომ ეს არ არის ბუნებრივი, ეს არის გადახრა, ეს არის ზოგჯერ წამხედურობა, ზოგჯერ სენი, ეს არ არის ორგანული“.

კავკასია, დღეს, 5 მაისი

ზვიად ძიძიგური, ქართული ოცნება, კონსერვატორები: „მე მიმაჩნია, რომ ბავშვებს აქვთ უფლება, რომ მათი დედები იყვნენ ქალები და მათი მამაები იყვნენ კაცები, ჩვენ უნდა დავიცვათ ბავშვების უფლებები, აუცილებელია ეს! მსოფლიოში სადაც არის შექმნილი პეპელების, ხვლიკების, ჭიანჭველების დაცვის საზოგადოებები - მე ვფიქრობ, რომ უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ჩვენი შვილების მომავალზე!“

დისკრიმინაცია სომხური წარმომავლობის გამო

ნეტგაზეთი, 23იანვარი

თამაზ მეჭიაური, ქართული ოცნება: „არ ვიცოდი, ბატონი არტური თუ იყო, ის ვინც უსტვენდა,

თორე.... უფრო მაგრად... შეიძლება უფრო... ინციდენტი იყო ნერვების ამშლელი, რომ უსტვენს და იგინებიან“.

თურქოფობია

მაესტრო, რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, PIA, IPN, 9 მარტი
გოგი თოფაძე, ქართული ოცნება-მრეწველები: „რუსეთმა ესეიგი ჩვენი ტერიტორიები დაიკავა და გაზპრომთან საუბარი არ შეიძლება. მწვანილის გატანა შეიძლება და სხვადასხვა ღვინის გატანა შეიძლება და თუ ესე ვუდგებით, მაშინ თურქეთიდან რომ ამდენი ნაგავი შემოაქვთ, იქ არ არის ჩვენი ტერიტორიები დაკავებული?“

ქსენოფობია

იმედი, პოლიტიკა, 11 მარტი
ირაკლი სესიაშვილი, ქართული ოცნება, პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე: „თბილისის უნივერსიტეტში ძალიან ბევრი უცხოელი სწავლობს... სამწუხაროდ, არის გარკვეული მცდელობები, რომ მოხდეს ჩვენი ახალგაზრდების ე.წ. „დავერბოვკება“, ამიტომ კონტრსადაზვერვო საქმიანობისთვის მათი იქ ყოფნა, ნაწილობრივ, გამართლებული იყო...“

ძალადობის წახალისება

ტაბულა, ფოკუსი, 25 მაისი
ომარ ნიშნიანიძე, ქართული ოცნება: „ადრე უნდა გალახულიყვნენ, თავის დროზე უნდა დასჯილიყვნენ და დღეს ეს არ მოხდებოდა. მოდი ჯერ დავსაჯოთ ისინი, ვისაც 2012 წელს თავები დაგვიხეთქეს ქვებით კარალეთში. არჩევნების დღეს და არჩევნების პერიოდში არ შეიძლება მათი ცემა, თორემ ისე საცემლები არიან, ... მთელი საქართველო ხელებს ლოცავს, მათ ხელებს ვინც გალახა ბოკერია და ასე შემდეგ და ასე რომ ვთქვათ, ჩვენ ვის ვსჯით, მათ ვსჯით?“

დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო/სახალხო ძრება: **პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას 2008 წლის 21 მაისს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ, აპრილში გაემიჯნა. პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, რომლის თავმჯდომარეც ის ამჟამად არის, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 1 თვით ადრე, 2008 წლის 19 მარტს იყო დაფუძნებული. „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“, რომელიც 2008 წლის 23 დეკემბერს არის დარეგისტრირებული, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ბლოკ „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიულ მოძრაობაში“ შემავალ ერთ-ერთ სუბიექტად ფიგურირებდა. ბურჯანაძის ბლოკი 2014 წლის თვითმართველობის არჩევნებში კვალიფიციური სუბიექტი გახდა, თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა.**

ნინო ბურჯანაძე მეორე ქართველი პოლიტიკოსია, ზურაბ ნოღაიდელის შემდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2010 წელს ვლადიმერ პუტინს შეხვდა. 2016 წლის არჩევნებზე ის უბლოკო სტატუსის ინიციატივით გამოვიდა, რაც კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას ითვალისწინებდა, რომ საქართველო არცერთი საერთაშორისო სამხედრო ბლოკისა და ალიანსის წევრი არ გახდებოდა.

MDF-ის 2014-2015 წლების კვლევების თანახმად, როგორც დემოკრატიული მოძრაობა, ასევე 2014 წლის ადგილობრივ და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი გურამ ფალავანდიშვილი, პარტიასთან დაკავშირებული სახალხო კრება ანტიდასავლური განწყობების გარდა, სიძულვილის ენის გაღვივებით გამოირჩეოდნენ.

2016 წლის მონიტორინგის შედეგად სიძულვილის ენის 45 შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც უმეტესობა (39) ჰომოფობიური ხასიათის იყო.

ჰომოფობია

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 16 თებერვალი
დიმიტრი ლორთქიფანიძე, დემოკრატიული მოძრაობა: „ეს (საგანი „მე და საზოგადოება“) არის მამათმავლობის პროპაგანდა, რომელიც შეფარულად და ღიად, ამავე დროს, ხორციელდება“.

კავკასია, ბარიერი, 9 მარტი
გიორგი ახვლედიანი, დემოკრატიული მოძრაობა: „არანორმალურის ნორმად გამოცხადებას ვერ დავუჭერ მაგიტომ მხარს... ეს არის გარყვნილება და ეს არის ამ შემთხვევაში ცოდვა რელიგიურად და სამოქალაქო ენაზე... ეს არის გაუკუღმართებული ურთიერთობა, გაუკუღმართებული“.

თურქოფობია

ასავალ-დასავალი, 5-11 სექტემბერი
ელიზბარ ჭაველიძე, სახალხო კრება: „ასლანმა არცერთ თურქს არ დაადგმევინა ფეხი აჭარაში, დღეს კი ეს ძირძველი ქართული კუთხე თურქეთის ვილაიეთს დაემსგავსა!“

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

Geworld.ge, 6 აპრილი
ელიზბარ ჭაველიძე, სახალხო კრება: „ჩვენი სახალხო დამცველი სექტანტია. მისი არც ერთი მოსაზრება არ ემთხვევა ხალხის აზრს, გადახრები აქვს და, ალბათ, სწორედ ამიტომ აირჩიეს სახალხო დამცველად... როგორც ვიცი, თვითონაც და მისი მეუღლეც ბაპტისტები არიან, ამიტომ არ მიკვირს მისგან სექტანტების დაცვა, თორემ ტრადიციული რელიგიის ადამიანებს მისი დაცვა არ სჭირდებათ. საქართველო სექტანტებმა გადაჭამეს“.

მოძრაობა ეროვნულები 2016 წლის 8 თებერვალს დარეგისტრირდა. წესდების მიხედვით, მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი მართლმადიდებლობის ღირებულებების დაცვა და განმტკიცებაა. მისი დამფუძნებელები ალექსანდერე (სანდრო) ბრეგაძე, კახაბერ მიგინეიშვილი და ზურაბ ენუქიძე არიან.

სანდრო ბრეგაძე 2014 წლის მაისში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა; ხოლო 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გახდა. საჯარო პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნის პროცესში ის ხშირად აკეთებდა ჰომოფობიურ განცხადებებს, რის გამო სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ წევრებმა პრემიერ-მინისტრს მისი გადაყენების მოთხოვნით ორჯერ მიმართეს. 2016 წლის თებერვალში სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგა, რის მიზეზადაც ერთი სქესის პირთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით მისი პოზიცია დაასახელა.

2016 წლის მონიტორინგის მიხედვით, მოძრაობა ეროვნულების სახელით 26 სიძულვილის ენის შემცველი განცხადება გაკეთდა, საიდანაც 21 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 3 რასისტული და 2 ქსენოფობიური.

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 26 სექტემბერი – 2 ოქტომბერი
სანდრო ბრეგაძე, ეროვნულები: „...ქართველ საზოგადოებას კი ეტყვიან, კაცს-კაცზე და ქალს ქალზე თუ არ დავაქორწინებთ, ევროკავშირსა და ნატო-ში არ მიგვიღებენო. ავადსახსენებელი „ანტიდისკრიმინაციული კანონიც“ უცხოელებმა ზეწოლით მიაღებინეს საქართველოს პარლამენტს და ერთნაირსქესიანთა ქორწინებასაც ასეთივე ზეწოლით დააკანონინებენ!“

რასიზმი

ასავალ-დასავალი, 12-18 სექტემბერი
სანდრო ბრეგაძე, ეროვნულები: „აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს ჩამოვართვათ საქართველოში ბინადრობის უფლება და მოვახდინოთ მათი დეპორტაცია. შევქმნათ ახალი, მკაცრი საემიგრაციო კანონმდებლობა“.

თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის საჯარო რეესტრის მონაცემებით, 1998 წლის 27 თებერვალს დარეგისტრირდა. პარტიის თავმჯდომარეა თამაზ მეჭიაური, რომელიც 2012 წელს პარლამენტში კოალიცია „ქართული ოცნების“ სიით მოხვდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში კი დამოუკიდებლად, საკუთარი პარტიის სახელით მონაწილეობდა. წესდების მიხედვით, პარტიის ერთ-ერთი მიზანი ქართველი ერის გაერთიანება, ეროვნული მსოფლმხედველობის და ტრადიციების განმტკიცება და დაცვაა.

2016 წლის მონიტორინგმა აღნიშნული პარტიის მხრიდან 16 სიძულვილის ენის შემთხვევა გამოავლინა, საიდანაც 15 ჰომოფობიური იყო.

ჰომოფობია

ტაბულა, ფოკუსი, 27 მაისი

თამაზ მეჭიაური, ერთიანი საქართველოსთვის: „საჭიროა იმიტომ, რომ [ქორწინების დეფინიციის განსაზღვრა კონსტიტუციაში] აი, ზოგიერთ ლიბერასტს, არ გაუჩნდეს მისი სხვანაირად ინტერპრეტირების საშუალება“.

დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

საქართველო და მსოფლიო. 17 სექტემბერი

თამაზ მეჭიაური, ერთიანი საქართველოსთვის: „ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ხომ ნახეთ, რაც მოხდა _ ეს ყველაფერი ამერიკის ზეწოლით განხორციელდა, ამერიკის ელჩი ბედნიერებისგან გაბადრული და გაბრწყინებული სახით იძლეოდა ინტერვიუს და საიდან მოდის ეს შეკვეთა, ნათელია“.

ნეიტრალური საქართველო/მოძრაობა „სოციალისური საქართველო“. ტვ „ობიექტივის“ წამყვანის ვალერი კვარაცხელიას პარტია „ნეიტრალური საქართველო“ 2008 წლის 29 თებერვალში დარეგისტრირდა. 2016 წელს წინასაარჩევნო კამპანიის დროს საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენების გამო მოძრაობა „სოციალისტური საქართველო“, რომლის დამფუძნებელიც ვალერი კვარაცხელიაა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააფრთხილა და „თავისუფლების ქარტია“ შეახსენა, რომლითაც ასეთი ქმედება კანონმდებლობით აკრძალულია. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვალერი კვარაცხელიამ მონაწილეობა პ/გ „საქართველოს კომუნისტური პარტიის“ სახელით მიიღო, რადგან მის პარტიას რეგისტრაცია დოკუმენტაციის არასრულყოფილების გამო გაუქმდა.

2016 წლის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა 8 შემთხვევა, როდესაც ვალერი კვარაცხელიამ სიძულვილის ენის შემცველი განცხადება პარტიის სახელით გააკეთა.

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 4-10 ივლისი

ვალერი კვარაცხელია, ნეიტრალური საქართველო: „წითელი დროშებით გავრეკოთ ცისფერი და ცისარტყელას ფერების დროშებითა და „უკანალის ფილოსოფია-იდეოლოგიით აღჭურვილი“ თახსირები ქართული პოლიტიკიდან! სატანის მოციქულები გავრეკოთ ქართული ტელეარხებიდან, ამერიკული ტელეარხებიდან, ამერიკული ტელეარხები კი – საქართველოდან!“

სიძულვილის ენა პოლიტიკური ნიშნით

მარშალპრესი, 25 ივნისი
ვალერი კვარაცხელია, ნეიტრალური საქართველო: „მე მგონია, რომ ამერიკულ ლაბორატორიებში გამოჩეკილი ხელოვნური ვირთხები უფრო ხართ, ვიდრე დედის მიერ გაჩენილი და აღზრდილი ადამიანები. თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ყარდეთ, ვინაიდან თქვენ ხორცისგან, სულისგან და სისხლისგან კი არ შედგებით, თავიდან ბოლომდე ჩირქის გროვა ხართ, – ფურუნკული, რომელიც გასკდა!..არა უშავს, რუსეთიდან ხარისხიან სადეზინფექციო საშუალებებს შემოვიტანთ და გადაგრეცხავთ“.

მემარცხენე ალიანსი 2013 წლის 5 ივნისს დარეგისრირდა და მისი თანათავმჯდომარეები ლეიბორისტული პარტიიდან გამიჯნული კახა ძაგანია და იოსებ შატბერაშვილი არიან. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიას ვაზისუბნის მაჟორიტარობის კანდიდატად Geworld.ge-ს (საქართველო და მსიოფლიოს) ავტორი ბაკურ სვანიძე ჰყავდა წაყენებული.

2016 წელს სიძულვილის ენის 7 შემთხვევიდან 5 თურქოფობიულია, 2 ქსენოფობიური.

თურქოფობია

საქართველო და მსოფლიო, 7 სექტემბერი
ბაკურ სვანიძე, მემარცხენე ალიანსი: „რელურად რუსეთს ჩვენს ქვეყანაში არა რაიმე ამერიკულ-ევროპული დემოკრატიული ღირებულებები, არამედ ნატოს ტყავში გახვეული ოსმალეთის იმპერია უპირისპირდება... აბა, რატომ გვიკვირს, რომ რუსეთი, რომელიც აშკარად უფრო ჰუმანურად მოექცა 100 წლის წინათ დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებსა და მოსახლეობას, ვიდრე მეორე, გაცილებით აგრესიული და საშიში დამპყრობელი – თურქეთი, ახლა „ნანობს“ საკუთარ „ჰუმანურობას“ და ფიქრობს, – მოვქცეულიყავი მეც მეტოქე თურქეთივით, გამენადგურებინა ყველაფერი ქართული დაპყრობილ ქართულ მიწებზე, ამეკრძალა ქართული ენა, მომესპო მათი ეროვნულობა, ალბათ, ახლა მეც მომიბრუნდებოდნენ ქართველები და „ისტორიულ მეგობრად“ გამომაცხადებდნენ, თუ არა, ტერიტორიები მაინც უპრობლემოდ შემრჩებოდაო“.

ასავალ-დასავალი, 20-26 ივნისი
სოსო შატბერაშვილი, მემარცხენე ალიანსი: „სააკაშვილის მიერ თურქებისთვის მიყიდული აჭარა ძალიან თვალსაჩინო მაგალითია საიმისოდ, თუ რატომ უნდა აიკრძალოს საქართველოში უცხოელებზე მიწის გაყიდვა!“

4.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მონიტორინგმა გამოავლინა 37 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ფორმის სიძულვილის ენით გამოირჩეოდა. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ამ ორგანიაციების

უმეტესობა (17) 2012-2016 წლებშია რეგისტრირებული, 11-ის შემთხვევაში კი დაფუძნების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა (იხ. ცხრილი და დიაგრამა 2).

ცხრილი და დიაგრამა 2. სიძულვილის ენის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფუძნების დინამიკა



1999-2004	2005-2010	2012-2016	დადგენა ვერ ხდება
3	6	17	11

იმ 37 ორგანიზაციიდან, რომელიც მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია იმ 5 ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ყველაზე ხშირად მიმართავდნენ სიძულვილის ენას.

ევრაზიული ინსტიტუტი/ევრაზიული არჩევანი და ერეკლე მეორის საზოგადოება: ევრაზიული ინსტიტუტი 2009 წლის 22 სექტემბერს გულბაათ რცხილაძემ და გიორგი ვეკუამ დაარსეს. damoukidebloba.com-ის კვლევის მიხედვით, „ევრაზიული ინსტიტუტის" ერთ-ერთი პარტნიორი რუსული ორგანიზაცია „ლევ გუმილევის ცენტრია", რომელიც „ევრაზიული ცენტრის" მიერ მოსკოვში 2011 წელს დაფუძნდა. ცენტრი ეთნოკონფლიქტების გადაჭრის გზად „ევრაზიანიზმის" იდეის პოპულარიზაციას ასახელებს. „ევრაზიის ინსტიტუტს" შეუერთდა პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული შოთა აფხაიძე, რომელიც სასჯელს 2010 წელს ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის" წევრებთან ერთად შეჭრის და ექსტრემისტული ქმედებების გამო იხდიდა.

ევრაზიულ ინსტიტუტთან არის ასევე დაკავშირებული ევრაზიული არჩევანი, რომლის დამფუძნებლები და გამგეობის წევრები არჩილ ჭყოიძე, მაია ხინჩაგაშვილი და ბორის მანჟუკოვი არიან. მათგან ერთ-ერთი – ბორის მანჟუკოვი, damoukidebloba.com-ის კვლევის მიხედვით, რუსული ტელეარხის „მირის" საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელია. ორგანიზაცია 2013 წლის 30 მაისს არის რეგისტრირებული.

არჩილ ჭყოიძე ამავდროულად არის ერეკლე მეორის საზოგადოების ხემძღვანელი, რომელიც 2008 წლის 31 დეკემბერს დაფუძნდა. ორგანიზაციის ძირითადი მიზანი საქართველოში რუსეთის კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაა.

2016 წლის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა 8 დისკრიმინაციული გამოხატვა, როცა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები თურქოფობიას (4), ჰომოფობიას (3) და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას (1) მიმართავდნენ.

თურქოფობია

კავკასია, ბარიერი, 9 მაისი

არჩილ ჭყოიძე, ევრაზიული ინსტიტუტი: „მე არ ვამბობ, რომ რუსეთი საუკეთესო მეზობელი იყო, არა რა თქმა უნდა. მაგრამ იმ რუსეთში დღესდღეობითაც ქართველები ცხოვრობენ, ქართული ეკლესიები არსებობს, ქართული ცეკვის და იმის კურსები არი და ოსმალეთში, რომელიც დღეს ჩვენ ძალიან ე.ი მეგობრულ ქვეყნად გვაქვს აღიარებული და ჩვენი მოძმე არი, ქართულ ეკლესიებს კულტურულ ძეგლებადაც კი არ აძლევენ უფლებას, რომ კულტურულ ძეგლებად აღდგეს და ბოსლებად აქვთ ნაქცევი“.

ჰომოფობია

კავკასია, ბარიერი, 9 მაისი

არჩილ ჭყოიძე, ევრაზიული ინსტიტუტი: „სოფელში და რეგიონში რომ სულელები გონიათ, იქ ყველაზე ჭკვიანი ხალხი ზის ზუსტად და კარგად ხვდებიან, რას უნდა უყურონ, ჯაჯანიძის შოუს, სადაც მამათმავლობის ის მიდის პროპაგანდა და რისი და რისი, იქ ნანუკას შოუს, სადაც რისი პროპაგანდა მიდის კაცმა არ იცის, თუ იმ რუსულ არხს და კინოს უნდა უყუროს. ეს იმ კაცმა უნდა გადაწყვიტოს და ამის უფლება აქვს“.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI საჯარო რეესტრში 2014 წლის 18 მარტს დემოგრაფიული განვითარების ფონდის სახელით დარეგისტრირდა, 2015 წლის ნოემბრიდან კი სახელწოდება შეიცვალა და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ედ დარეგისტრირდა.

ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის არიან: ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელმაც კაპიტალი რუსეთში დააგროვა, TBC ბანკის აქციონერები მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე, ასევე ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი. ორგანიზაციის კიდევ ერთი დამფუძნებელია პალიტრა ჰოლდინგის მეწილე და ტრი-მედია ინტელიჯენსის დამფუძნებელი გიორგი თევდორაშვილი. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამჟამად არის ზვიად ტომარაძე, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯუფის წევრი იყო და ხელმოწერების შეგროვებას უწევდა კოორდინირებას. ქართული ოცნების დეპუტატმა სოსო ჯაჭვლიანმა 2015 წელს პარლამენტში საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ის მიერ მომზადებული 2 საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა: ერთი ანტიდისკრიმინაციული კანონიდან სიტყვების „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერი“ ამოღებას შეეხებოდა, მეორე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ დასჯადად გამოცხადებას.

2016 წლის მონიტორინგმა მედიაში ორგანიზაციის 7 დისკრიმინაციული განცხადება გამოავლინა, საიდანაც 6 ჰომოფობიური იყო, 1 თურქოფობიული.

კავკასია, ბარიერი, 2 მარტი

ზვიად ტომარაძე, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI: „თქვენ ხართ ოფიციალური ჯაშუშები(მიმართავს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს)! თქვენ გრანტების სანაცვლოდ...გ...დიახ, ჰომოსექსუალიზმი არის დაავადება! ჩვენ გადაგვარების წინაშე ვდგავართ, როგორც ერი და ტრადიციულ ოჯახს რაც შეეხება იმის ინტერესები უნდა დაიცვას სახელმწიფომ და ეს არის დაავადება!!!“

უფლებადამცველთა გაერთიანება **საჯარო რეესტრში 2012 წლის 2 აგვისტოს დარეგისტრირდა. გაერთიანების ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძეა.**

2016 წლის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა 7 დისკრიმინაციული კომენტარი, საიდანაც 3 თურქოფობიული, 2 ჰომოფობიური და 2 რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი იყო.

ისლამოფობია

ასავალ-დასავალი, 8-14 აგვისტო

ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანება: „სააკაშვილმა ხომ აჭარაში თურქეთს ყველაფერი შეუსრულა?! მაღალმთიან აჭარაში რაც ეროვნულმა მოძრაობამ ხალხი გააქრისტიანა, სააკაშვილმა ისევ ისლამისკენ შეატრიალა და მედრესეებში უკრა თავი ჩვენს სისხლსა და ხორცს! ურთულესი სიტუაციაა... გამოსავალი ერთია – აჭარის დედასამშობლოსთან, საქართველოსთან განუყოფლობის გარანტი **რუსეთი** უნდა გახდეს!.. არ შეიძლება, უცხო ქვეყანას შენს სახელმწიფოში მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობა დააფინანსებინო! ასე ნაბიჯ-ნაბიჯ დავკარგეთ აფხაზეთი, როცა ყველაფერი დავთმეთ... თუ რუსეთი ოკუპანტია, თურქეთს ჩვენი ნებით მივეცით ტაო-კლარჯეთი თუ რაშია საქმე?“

სახალხო-პატრიოტული ქავშირი – რუსეთი ჩემი მეზობელია **საჯარო რეესტრში 2015 წლის 16 ივნისს დარეგისტრირდა. ორგანიზაციის თავმჯდომარეა რამაზ ლურსმანაშვილი, გამგეობის წევრები კი – ვალერიან ქოჩიაშვილი, თეიმურაზ მაკარიძე, ციცინო ბაბუციძე, თეიმურაზ ქოჩიაშვილი, გურამ სიმონიშვილი და ვლადიმერ ჩუბინიძე არიან.**

წესდების მიხედვით, ორგანიზაციის მიზნებია: სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება – განვითარება; სახელმწიფოში სამართლიანობის აღდგენა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ადამიანებს შორის სიყვარულის დამკვიდრება და სხვა.

2016 წლის მონიტორინგმა მედიაში ორგანიზაციის მხრიდან გაკეთებული 4 დისკრიმინაციული კომენტარი გამოავლინა (ჰომოფობია, თურქოფობია, ქსენოფობია, პოლიტიკურად მოტივირებული სიძულვილის ენა).

თურქოფობია

Geworld.ge, 28 იანვარი

რამაზ ლურსმანაშვილი, სახალხო-პატრიოტული კავშირის „რუსეთი ჩვენი მეზობელია“: „რუსეთი დამპყრობელია, – ამბობს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა, მაგრამ, თუ რუსეთი დამპყრობელია, თურქეთი ვინ არის? ამ ქვეყანას მითვისებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 23 ათასი კვადრატული მეტრი, თავისი მოსახლეობითა და უძველესი კულტურული ძეგლებით. ჩვენ რომ სახელმწიფო გვაქვს, რუსეთის დამსახურებაა...“

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული მისია“ 2015 წლის 6 მარტს გიორგი კორკოტაშვილმა, გიორგი ზარნაძე და არჩილ შველიძემ დააფუძნეს. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კორკოტაშვილია, რომელიც „ევრაზიის ინსტიტუტის“ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობს და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მხარდასაჭერ განცხადებებს აკეთებს.

2016 წლის მონიტორინგმა 4 დისკრიმინაციული განცხადება გამოავლინა, საიდანაც 3 ჰომოფობიური შინაარსის, ხოლო 1 თურქოფობიული იყო.

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 23-29 მაისი

გია კორკოტაშვილი, ქართული მისია: „ერთადერთი მოთხოვნა გვაქვს – ნუ უწევთ პოპულარიზაციას უზნეობას! თუ ქუჩაში მოინდომებთ აღლუმების მოწყობას, სხეულის რა ნაწილითც გააკეთებთ, იმას მოგამტვრევთ ძირში ლგბტ-ებო, ჩემი კეთილი რჩევაა – დააყენეთ ერთი ადგილი!“

4.4. სასულიერო პირები

სასულიერო პირების მხრიდან სულ 56 სიძულვილის ენის შემცველი განცხადება გაკეთდა, საიდანაც 35 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 19 რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია და 2 თურქოფობია.

ყველაზე მეტად სასულიერო პირებიდან დავით ისაკაძე (8), ბასილ მკალავიშვილი (7), ანთიმოზ ბიჩინაშვილი (5), დავით ქვლივიძე (5) და გიორგი რაზმაძე (5) აქტიურობდნენ.

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 16-22 მაისი

დავით ისაკაძე, დეკანოზი: „მამათმავლობა მხოლოდ რელიგიური ცოდვა არ გახლათ, ეს არის მძლავრი იარაღი ნებისმიერი ერის გენოციდისთვის!“

ასავალ-დასავალი, 14-20 მარტი

ბასილ მკალავიშვილი, პროტოპრესვიტერი: „საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას სწორედ ამერიკის საელჩო ლობირებს... გადავხედოთ იმ ქვეყნებს, სადაც ეს სიბილწე დააკანონეს – წყალდიდობა, ქარიშხლები და ხანძარი ყველაფერს ანადგურებს! ჩვენც ნუ დავემსგავსებით მათ და ვამხილოთ საქართველოს მოღალატენი, რათა სოდომ-გომორის მსგავსად არ გავნადგურდეთ!"

კვირის ალია, 2016 წელი 4-10 აპრილი

ანთიმოზ ბიჩიკაშვილი, ანთიმოზი: „ცოდვის დაკანონება არ შეიძლება, გინდა მამათმავლობა იყოს, გინდა პედოფილია, მრუშობა, ცოლ-ქმრის ღალატი თუ ასე შემდეგ".

ანტიკატოლიციზმი

ასავალ-დასავალი, 25-31 ივლისი

ნიკოლოზ ჩხიკვაძე, დეკანოზი: „დღეს საპატრიარქო განიცდის ძალიან დიდ ზეწოლას, თორემ უწმინდესი მწვალებელს [რომის პაპი] არ მოიწვევდა. ის მართლმადიდებლობის უდიდესი მტერია, ისლამზე დიდი მტერი. იცით რატომ? ისლამი პირდაპირ გეუბნება – შენი მტერი ვარო. ის კიდევ თავს მოყვრად გვაჩვენებს და სამარეს გითხრის. ის არის ცხვრის ტყავში გახვეული მგელი და მის აქ შემოსვლას სიკეთე არ მოჰყვება. ეს იქნება დიდი განსაცდელი და ამას მალე ვნახავთ".

ნეტგაზეთი, 30 სექტემბერი

დავით ისაკაძე, დეკანოზი: „პაპი არის უდიდესი ერეტიკოსი. ჩვენ არ გვინდა მისი ქადაგება, ვატიკანში იქადაგოს".

ისლამოფობია

ასავალ-დასავალი, 6-12 ივნისი

ნიკოლოზ ჩხიკვაძე, მოძღვარი: „ჯარისკაცს ომში, რომ მიდის, მამაო ლოცავს და რა ვქნათ ახლა, მოლას დავალოცვინოთ ქართული ჯარი? ესენი ეძახიან სხვას ვიღაცის აგენტებს, აგენტები თვითონ არიან, თინა ხიდაშელი არის ისლამის აგენტი".

4.5. საზოგადოება

მედიაში საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის 207 დისკრიმინაციული კომენტარი გავრცელდა, საიდანაც ყველაზე მეტი (86) ჰომოფობიური ხასიათის იყო. პოლიტიკური და სხვა მოტივით დისკრიმინაციული შეფასებები 34-ჯერ გავერცელდა; თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი თურქოფობია (26) და ქსენოფობია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ (24), რომელსაც რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის 16, არმენოფობიის 12, ხოლო რასიზმის 7 შემთხვევა მოსდევდა.

ჰომოფობია

საქინფორმი, 21 ივნისი
ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტოლოგი: „როდესაც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებენ, კავკასიელები მეძავებისა და პედერასტების ერს დაგვიძახებენ“.

ასავალ-დასავალი, 13-19 ივნისი
ლენა ვასაძე, ქართველი ემიგრანტი: „არანაირი გამართლება არ აქვს ხელისუფლებას, რომელიც ამ უხამსობას, ერთნაირსქესიანთ ქორწინებას მოახვევს თავს მოსახლეობას. ღმერთმა დაიფაროს საქართველო ამ ნაბიჯის გადადგმისგან. ამის გაგებას სიკვდილი მირჩევნია“.

ჰომოფობია, ანტიდასავლური განწყობები

ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 მაისი
რეზო ამაშუკელი, პოეტი: „რა უნდა გვასწავლონ ჩვენ მაგათ?! დედა შვილს ირთავს და ლორდობას ანიჭებენ პედერასტებს, ბოდიში გამოთქმისთვის. ტრადიციული ქვეყანა თუ არი, მაშინ კეთილი ინებონ და წესიერად მოიქცნენ, ინგლისის კი არა, ვინც გინდა ის იყოს... მიგვიყვანენ იმ ზომამდე, რომ ნებისმიერ ევროპელს აქ თავებს დავუხეთქავთ ჩვენ. ნუ გვაყენებენ შეურაცხყოფას, თავიანთ ბოდიშს ვიხდი და აქოთებულ სირიკას მოუარონ“.

ქსენოფობია

მარშალპრესი 27 ივნისი
მიშა გომიაშვილი, მსახიობი: „მარტო მე ვამჩნევ და ვხედავ რაც ჩვენს ქალაქში ხდება? 15-16-17 წლის ქართველი გოგონები, ქართული გენოფონდი, რომლებიც დედები უნდა გახდნენ და საქართველოს შვილები გაუჩინონ, თურქების, ირანელების და კიდევ ათასი ჩამოთესლილის ხასები გახდნენ“.

თურქოფობია

ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 მაისი
ტელემაყურებელი: „ჩვენ ტერიტორია როგორც რუსებმა ჩამოგვართვეს, ისე თურქებმა ჩამოგვართვეს თავისი ბარბაროსული ღირებულებიდან გამომდინარე“.

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

IPN, 29 სექტემბერი, მარშალპრესი, 30 სექტემბერი
რომის პაპის საქართველოში ჩამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის მონაწილეები: „ეს ადასტურებს ჩვენს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ პაპი ჩამოდის თავისი მწვამებლური, ცრუ სწავლების, ე.წ. პაპიზმის საქადაგებლად, პაპიზმის გასაძლიერებლად საქართველოში, პროზელიტური მიზნით, რაც, პირველ რიგში, შეურაცხყოფს ჩვენი განმანათლებლე-

ბის, მოციქულების – ანდრეა პირველწოდებულის, მატათასა და სიმონ კანანელის, მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს წმინდა სახელებსა და ღვაწლს, მიმართულია მართლმადიდებლობის წინააღმდეგ“.

არმენოფობია

კვირის პალიტრა, 25 იანვარი

ბონდო არველაძე, ისტორიკოსი, არმენოლოგი: „სომხეთში არიან „ავადმყოფური ისტორიზმის“ სენით შეპყრობილი მუსიკოსები, მსახიობები, მწერლები, ისტორიკოსები... ამტკიცებენ, რომ სომხები იყვნენ ლეონარდო და ვინჩი და ალექსანდრ სუვოროვი, ხოლო არარატს მომდგარი კიდობნიდან გადმოსულმა ნოემ სომხურად მიმართა ღმერთს. „ვეფხისტყაოსანიც“ სომეხმა დაწერა, „სულიკო“ კი აკაკი წერეთელმა სომხურიდან თარგმნა და მერე ქართველებმა დედანი დაწვეს“.

რასიზმი

ობიექტივი 10 იანვარი

მაყურებელი: „თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ მან (ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა) არ მიიღო კონსტიტუციით ერთსქესიანთა ქორწინება, მან არ გაასხვისა მახინჯ ინდოელებზე და აყროლებულ შავებზე. რაც გინდათ ის დამიძახეთ ახლა, ზანგებზე მიწებს არა ყიდის და ამიტომ მოიშორეს მასონებმა. თქვენგან ვიცი ეს კიდევ მეტად, უფრო, ვიდრე მე მჯეროდა“.

სიძულვილის ენა პოლიტიკური მოტივით

მარშალ პრესი, 12 მარტი

მანჩო გიორგობიანი: „ჰიტლერიც დაგხატავდათ [ნაციონალურ მოძრაობას], ერთი გემით, თქვენც და თქვენს მიმდევრებსაც რომ დაიტევდა, მუტანტო სექტანტებო!!! მახინჯ სხეულებში, მახინჯი ყროლი გაქვთ.. თქვენ რა საცოცხლებლები ხართ, როგორც კეთროვანები, ყველა უნდა ამოწყდეთ“!!!

4.6. ხელისუფლება

ხელისუფლების წარმომადგენლებმა 8 დისკრიმინაციული განცხადება გააკეთეს, მათ შორის 6 ჰომოფობიური, 1 რასისტული, ხოლო 1 ქსენოფობიური. ჰომოფობიური განცხადებების უმრავლესობა დიასპორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის რანგში სანდრო ბრეგაძემ გააკეთა, 1 განათლების მინისტრმა. რასისტული განცხადება აშშ-ში საქართველოს ელჩს ეკუთვნის, რომელიც ამჟამად ამ თანამდებობას არ იკავებს. 1 ქსენოფობიური განცხადების წყარო კი შს მინისტრის მოადგილეა. ამასთანავე გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ გამოაქვეყნა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ჰომოფობიური კომენტარი.

რასიზმი

ნეტგაზეთი, 6 ივლისი, რუსთავი 2, კურიერი 9 საათზე, 6 ივლისი, ტაბულა, ფოკუსი, 6 ივლისი, GDS, 20:30, 6 ივლისი
არჩილ გეგეშიძე, საქართველოს ელჩი აშშ-ში: „ფაქტია, რომ ვარსებობთ და რომ არა ეს ტრაქტატი, სპარსელებივით მუგუზალივით შავი წარბებები და თმები გვექნებოდა“.

ქსენოფობია

Geworld.ge, 30 მარტი 2016,
ლევან იზორია, შსს მინისტრის მოადგილე: „როდესაც უცხო ქვეყნიდან, მათ შორის, ისეთი ქვეყნიდან, რომელშიც ფეხი მოიკიდა ტერორიზმა, არიან სტუმრად სტუდენტები, საინტერესოა, რა მიზნით არიან, რა სპეციფიკით, რა განზრახვით არიან ჩამოსულები?!“

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 1-7 თებერვალი
სანდრო ბრეგაძე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე: „დიახ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ქართველ საზოგადოებას ცალსახად ეცოდინება, რომელი პოლიტიკოსები თუ პარტიები ემხრობიან ღვთისმშობლის წილხვედრ წვეყანაში საშინელი ცოდვისა და გარყვნილების [ჰომოსექსუალობის] დაკანონებას!“

GDS, 20:30, მაესტრო 10 თებერვალი
თამარ სანიკიძე, განათლების მინისტრი: „თუ ასეთი ინტენსიური მუშაობა მიდიოდა, თუ საპატრიარქო, განათლების სამინისტრო, სიტყვა-სიტყვით გადის და ხვეწს სტანდარტს, რატომ ვერ აღმოაჩინა ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაპატიოს მართლაც საზოგადოებამ და, მამათმავ-ლობა, უსაფრთხო სექსი, იდენტობა?... არც ერთ ვერსიაში ასეთი რამე არ წერია...“

რუსეთის ხელისუფლება/ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 4-10 ივლისი
ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი: ევროპელები გადაშენების პირას არიან, ერთნაირ-სქესიანი ქორწინება კი შთამომავლობას არ ტოვებს. ის ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ისინი უარყოფენ ზნეობრივ საწყისებს და ნებისმიერ ტრადიციულ იდენტობას – ეროვნულს, კულტურულს, რელიგიურს და სამართლებრივსაც კი.

4.7. ყოფილი ხელისუფლება

ხელისუფლების ყოფილმა წარმომადგენლებმა 13 დისკრიმინაციული კომენტარი გააკეთეს, საიდანაც 5 პოლიტიკური ნიშნით იყო, 3 თურქოფობიული, 3 რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, ხოლო 1-1 ჰომოფობია და ქსენოფობია.

დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

ასავალ-დასავალი, 1-7 თებერვალი

ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი: „ბოკერიებსა და სააკაშვილებს რომ მოვუსმინოთ, ამერიკის ერთ-ერთი შტატი უნდა გავხდეთ და ქართულ ანბანზეც უარი უნდა ვთქვათ. ბარემ განაცხადონ, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება და ამ იდეოლოგიით ქვეყნის მართვა არის ეკონომიკური წარმატების ერთადერთი შანსიო“.

ისლამოფობია

ასავალ-დასავალი, 1-7 აგვისტო

თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი: „მათ უდიდესი დანაშაული აქვთ ჩადენილი საქართველოს წინაშე – სამ მილიონზე მეტი ქართველია გამუსლიმანებული. მახსოვს, სტამბოლ-ში, დემირელთან ვიზიტის დროს, სადაც მე და შევარდნაძე ვიმყოფებოდით, დაცვის პოლიციის უფროსი ქართულად დამელაპარაკა და გულისტკივილით მითხრა – ცუდი გზა გამოვიარეთ, წაგვართვეს ენა, სარწმუნოება, გვარ-სახელი და ახლა ქართველები თურქებად მოვიხსენიებითო. ეს სიტყვები არასოდეს დამავიწყდება. როგორ შეიძლება, ისეთ სახელმწიფოს ენდო, რომელმაც ამდენი ქართველი გაათურქა?!“

სიძულვილის ენა პოლიტიკური ნიშით

კავკასია, სპექტრი, 4 ივლისი

ირაკლი მაჭავარიანი, პრეზიდენტ შევარდნაძის წამომადგენელი კონფლიქტების მოწესრიგე-ბის საკითხში: „რომ მკითხო ცხოველები არიან ის ადამიანები, ვინც ე.წ. ნაციონალურ მოძრაობას და მის ელიტას შეადგენენ. ცხოველები, რომელებსაც მე პირადად, არ ვიცი მე როგორც გარეულ ცხოველზე, რომელიც საფრთხეს წარმადგენს ადამიანისთვის, ვინადირებდი! გავცემდი ლიცენ-ზიას მათ, ასე ვთქვათ დახოცვაზე!“

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.NOTOPHOBIA.GE